ეროვნული ბიბლიოთეკა

317

179.

ჯეჯილი

საყმაწვილო

ნახატებიანი

ჟურნალი

იბარდ, ფრვანე ჯეჯილო,
დაპუტდი, ქასდი ფანაფ!

ი. დ.

საბჭოთა საქართველოს უნივერსიტეტი

იანვარი და თებერვალი, 1923 წ.

წელიწადი მეოცდათოთხმეტე.

ბიბლიოთეკა

ტფილისი

პოლიგრ. განყოფ. მე-3 სტამბა, კალოუბნის ქ. № 6.

ზამთარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზამთრის სურათი.

ეკვავენ, ტრიალობენ, ცეკვავენ ფრიალობენ და ნარნარი რხევით ყველგან ეფინებიან, სტუმრები არიან ყველასი, ყველასი: მთის მწვერვალების ულრანი ტყეების, ველ-მინდვრების, სოფლების და ქალაქების. ფრიალობენ, ტრიალობენ და ძვირფასად ნაქსოვ თეთრი კალთებით ძირს დედამიწას რთავენ — ჰქარგავენ. ჰაერში ათასგვარ სახეებს ჰქსოვენ ცეკვა-ტრიალით, თუმცა ყრუ-მუნჯად, უსიტყვოდ... მოქრიან ზემოდან ქვემოდ ნაზი ფიფქები, მაგრამ ამავ დროს გარინდებულ არე-მარეში ისმის შეუწყვეტელი ნაზი შრიალი. შრ... შრ... აი, ეს არის მათი სიმღერა, ეს არის მათი მაყრული, მათი დავლური და მათი ბაასი: ჩვენ ძეწნას პატარ-ძალივით მოვქარგავთ; ჩვენ კი პიტალო კლდეებს დევ-გმირებს დავამსგავსებთ; ჩვენ მოჭრილ ხეებს თეთრი ჩადრით თავებს შევუხვევთ; ჩვენ ნაკადულისკენ მივქრივართ, მის დაკლაკნილ ნაპირებს დაბასმულ ლეჩაქად დავეფინებით, რომ ტყის ლამაზმა ცრემლმა თეთრ არშიებს შორის უფრო ტკბილად იმღეროს და იჩუხჩუხოს". — ჩურჩულობენ თოვლის ფიფქები ჩუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მად და შეუჩერებლივ, მოდიან-მოქრიან და შავგვრემან დედამიწას თეთრი ფერადებით ხატავენ—ალამაზებენ.

ნელ-ნელა ქრებიან რუხი ფერები დედამიწისა, ხშირი ბუჩქნარი შორიდან ჩაცუცქულ მშიერ მგლებსავით რომ იცქირებოდენ, სახე ეცვლებათ, თეთრი სავანით იმოსებიან და ამის გამო თითქო ქრებიან. ტყე კი ირთვება, იქარგება თეთრი ყვავილით და დაბლა თავს ხრის მშვიდი—ნარნარი. სადმე ნაზი შტო ვერ შეიკავებს თოვლის სიმძიმეს, ღიღველა ბარტყივით მხოლოდ ოდნავ დაიწრიპინებს, მოტყდება და მძიმე ტვირთი პაწია შტოსი, ბამბის ქულასავით ძირს რომ გამორბის, გზა და გზა ისეთ მტვერს უშვებს, ისე იბოლება, თითქო ცეცხლი წაეკიდაო. ჩამოცვინდება ფაფუკ თოვლზე და თავისებურად გაიხმაურა. ეს ხმა მიჩუმებულ, გარინდებულ ტყეში უცნაურად მოისმის და ერთ წუთს ისევ გაქრება.

თოვლის ფიფქები კი მოქრიან და მოცეკვავენ, მათ არც დაღლა ეტყობათ, არც მოწყენას შეიმჩნევენ; ხატავენ, ჰქარგავენ არე-მარეს დაუზარებლად და შემდეგ სადღაც მიიმალებიან.

ცას შერჩება შავი ღრუბლები, მაგრამ ძირს, დედამიწას კი გააქვს თეთრად ვარვარი. მაგრამ, როდესაც ცას ღრუბლები შემოეფანტება და ლუჯ კაბადონზე ოქროს რგოლი ამოაშუქებს, შეყინულ თოვლის ფიფქთა უმრავლეს თვალმარგალიტებს საოცნებოდ ააპრიალებს და იცით, მაშინ ტყე რა ლამაზია? დინჯი, ნარნარი, თეთრი გირლიანდებით მოქარგული, ტყე სანთლებით გაკაშკაშებულ კეკლუც პატარძალს წააგავს.

ლამაზია, ძლიერ ლამაზი თოვლის ფიფქებით მორთული ტყე!

ცქვიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეფის შვილი თამაზა.

ზღაპარი.

(სასახლის ბაღი)

მეფე. შვილო თამაზ, აქაო და
დედის ერთა შვილი ვარო,
ისე აბნევ ოქრო-ვერცხლსა,
როგორც შხეფებს ანცი წყარო.

თამაზა. მამაჩემო, ლამაზია,
როცა ოქროს ვესვრი ცასა,
მზეში ბრწყინავს საუცხოოდ,
უკეთესსა ვნახავთ რასა?!
ის წკრიალებს ხოლმე წმინდად,
როცა დაეცემა ქვასა.
ხოლო წყალში რო ჩაუშვებ,
მდინარესა ანკარასა,
თხლად გვაჩვენებს იმის ძირსა
თუნდა მეტისმეტად ღრმასა.
პირიმზესაც მოსწონს ესა—
შენ კი ამბობ რასა? რასა?!

მეფე. შვილო, ოქრო და ეს ვერცხლი,
შენ რომ ასე აბნევ გარე,
ხალხის შრომა და ოფლია,
შუბლსა ხვითქად მომდინარე:
მის მიწიდან ამოთხრის დროს
ხალხს უნახავს ბევრი მწარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზა. მერე შენ რა? კიდევ მოსჭერ,
ხალხმა კიდევ ამოთხაროს,
შენ რას ნაღვლობ, რომ იმ ხალხმა
იშრომოს და ოფლი ღვაროს?!

მეფე. ვერ გაიგებ, რომ აგიხსნა,
შენ მამათა გასაჭირსა,
შენ ნოჩრჩი ხარ, გაუშლელი
სიყმაწვილის წყაროს პირსა.
შვიდ წელიწადს ერთხელა ვსჭრი
ფულს ხალხისთვის გასაწირსა,
თუ მეტს შევსჭამთ, დააკლდება
ობოლს, ოხერს, ბედით მწირსა,
და ეს ჩემი სახელმწიფოც
დაეცემა მაშინ ძირსა...

თამაზა. მამაჩემო... მამაჩემო...

მეფე. მამაშენი—მამაშენი
არ იქნება დღეის იქით,
თუ მის სიტყვას არ შეისმენ
შენ შვილურის თადარიგით.
აჰა, კიდევ ოქრო, ვერცხლი,
ითამაშე, ილაღობე,
ოღონდ უნდა შენს ლაღობას
წინ გაუვლო საზღვარ-ღობე;
აგერ ბაღი, იმის ჩრდილში
ინავარდე, როგორც სიო,
მაგრამ ოქრო რო მოგეცი,
ფუჭად აღარ დააბნიო.
თუ გადახვალ ჩემ სიტყვასა
და კვლავ აღარ აასრულებ,
დაგწყევლი და შეგაჩვენებ,
ხელს ავიღებ შენზე სრულებ. (გადის)

თამაზა. (მარტო) როგორ მოვიქცე?..
(ამ დროს ბაღში გამოჩნდება ბატარა პირიმზე).

პირიმზე. თამაზ! თამაზ!

თამაზა. აქეთა ვარ, პირიმზეო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ახლავე მანდ გავჩნდები,
გულის დარდი გაგიმზეო. (გადის)

გადის. (შემოდის) თამაზ!.. თამაზ!.. დავიღალე...
(დაჯდება)
რა კარგია მეფე ჩვენი!
ხალხისათვის განწირული,
ღვთიურ მადლად მონაფენი.
დღე და ღამე იმას ფიქრობს,
ვის რა არგოს, რა აამოს,
თავს მოიკლავს, კარგი არ ქნას
და დღე ისე დაალამოს.
მაგრამ შვილი არ უვარგა,
ჩიტებს ესვრის ოქრო-ვერცხლსა,
ეგ დაჰღუპავს ჩვენს სამეფოს,
ეგ მოუდებს მის ტახტს ცეცხლსა...
თამაზ, თამაზ ონავარო,
სად ხარ, საით დაიღუპე?
თურმე წესი ბუნებისა
ბევრჯელ არის ისე წუმპე,
რო კარგ მამას და კარგს მშობელს
არ გამოსდის შვილი კარგი:
კარგი მამა ავი შვილით
არის თურმე მონაქარგი...
თამაზ, თამაზ! სად წავიდა
ის ხუჭუჭა, ცუგრუმელა?
თურმე ჩვენსა კარგ მეფესა
მამა ჰყავდა ჭკუა-ბნელა.
არ უყვარდა თვისი ხალხი
და, როგორც მტერს, მტრობდა ყველა,
მაგრამ დახე იმის შვილსა—
ხალხისაა იგი შველა...
თამაზ! თამაზ! საძაგელი
ნეტავ საით ჩაიყლაპა?
ეგ მამისა დამღუპველი
პაპა არის, პაპა, პაპა! (გადის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზა. (პირიმზესთან შემოდის მეორე მხრიდან)
წამო, წამო, პირიმზეო!
პირიმზე. აბა, რისთვის წამოვიდე?
შენ ჩემ თხოვნას არ ასრულებ,
უარს მეტყვი, ვიცი კიდე...
აგერ, ჰხედავ ჩიტსა ხეზე?
შროშანია მგალობელი,
მზეს შეჰხარის ბრწყინვალესა,
მსურს აფრინდეს ლექსთა მთქმელი.
მსურს აფრინდეს, სხვაგან დაჯდეს,
გევედრები და გთხოვ გულით,
ჯიბით ოქრო ამოიღო
და ესროლო მას შურდულით.
მიყვარს ცაში ოქროს ბრწყინვა
და წკრიალი მიწაზედა.
თამაზა. იცი? იცი, პირიმზეო?
მამამ მითხრა: „თუ ეს ოქრო
მარჯვნივ-მარცხნივ, წარამარა
დაჰფანტეო ოკრო-ბოკრო,
გაგაგდებო სამუდამოდ,
არ იქნები ჩემი ძეო,
სახლშიც აღარ შემოგიშვებ,
დი ჩაქრება შენი მზეო.“
შენ კი... აბა, როგორ მირჩევ,
მამის სიტყვა გავაძეო!
პირიმზე. მიყვარს, როცა წყალში უშვებ
და ჩიტთ ესვრი ოქროებსა,
ლამაზია სანახავად,
ჩემი სული ნეტარებსა.
თამაზა. ჰო, მეც მიყვარს, აბა, მოდი,
ამ აუზში ჩავიხედოთ... (იხედებიან)
ჰხედავ თევზებს, წითლებია,
თითქო გულში ოქრო ედოთ.
რა წმინდაა, რა ანკარა!
იცი, რა ვსთქვა, პირიმზეო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი აქეთ, მოდექ ქვემოდ
და ამ ოქროს ჩაცურება
ამ აუზში კვლავ გავბედოთ.
აჰა, აგერ ჩალივლივდა,
ჭავლი დაჰკრა ძირს სვლამ მისმა,
ძირს დაეცა, მაგრამ მის ხმა
კარგა ალარ ამოისმა.

აჰა, კიდევ!.. აჰა, კიდევ!
ხომ გეამა, გაგიხარდა?

ბირიმზე. აგერ ჩიტი!..

თამაზა. აჰა, მასაც! (ესვრის) ალარ ვესვრი ამას
გარდა.

ბირიმზე. ვერ მოარტყი, ის ტოტს მოხვდა
და წკრიალი გაიღო მან.
რა კარგია! აგერ კიდევ,
ფრთა გაშალა შოშიამან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზა. იცი, რა ვსთქვა, პირიმზეო?
პირიმზე. რა?
თამაზა. ის, რომ ვარ ლონიერი.
პირიმზე. როგორ?
თამაზა. ასე: შემიძლია
აგიყვანო და მეჭირო
ხელში დიდხანს. გინდა, ვცადოთ?
პირიმზე. აბა?
თამაზა. აჰა. (აიყვანს ხელში და უჭირავს.
ამ დროს შემოდის გადია).
გადია. უი, ქაა! რასა ვხედავ?!
(ცოტა ხანს შემდეგ)
თამაზ! თამაზ!
თამაზა. (დასვამს სიჩქაროდ პირიმზეს)
რა, რა იყო, ძიძავ ჩემო,
რომ წაიღე გულის ყური!
თავისუფლად ამოსუნთქვის
გამხადე მე მონატური.
უკან დამდევ განუწყვეტლივ,
თითქო ვიყო უსუსური.
გადია. აგერ მეფეც მობრძანდება.
ვაი შენს თავს, ონავარო,
თუ რაიმე დააშავე,
თუ საქმე ჰქენ უყავარო.
მეფე. (შემოდის) შვილო თამაზ, დამენახვე,
გინახულო ხელახლადა,
ჩემს სიტყვას ხომ არ გადახველ,
ხომ არ მომკალ მამა მთლადა?
აბა, უკან დამიბრუნე,
რაც მოგეცი ოქრო დღესა,
ოქრო ხალხის საკუთრება,
ხალხის ოფლი, ხალხის კვნესა.
რადა დუმხარ? რა უყავი?
დააბნიე კიდევ იგი?
არ გასწიე მამის ხათრი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიგების თადარიგი?
შენ ჩემ სიტყვას არ იგონებ?
გასწი, მომწყდი თავიდანა,
გინდა, მოკვდი უპატრონოდ,
გინდ დაიკარ გულში დანა!
შორს! შორს ხალხის მოღალატევ!
მოღალატევ მშობელ ერის!
შენისთანა შვილი არ მსურს!
შენგვარი ძე არ შემფერის!
თვალით აღარ დამენახო,
დაიკარგე სამუდამოდ,
შენი ყოფნა ტანჯვა იყოს
შენგან ჩემი ტანჯვის გამო.
გასწი, გასწი, გადიკარგე!
მამის წყევლა გიძღვეს წინა
და აღარსად აღარ გქონდეს
ხალხის მტერსა ქვეყნად ბინა!

მინდორი ტყეში.

(გლეხები მკიან და თან მღერიან)

1 გლეხი. აბა, გაუტით ბიჭებო,
სვე გავიტანოთ ბოლოში.
2 გლეხი. მზე წამოვიდა ზევითა,
მწყერი გამოხტა ფრენითა,
გაუტი, გამაყვაინე
სვე ქოფაკური ღრენითა.
3 გლეხი. აბა, ყოჩაღად ბიჭებო,
სვე კვლავ წინ წავაყენოთო,
ვიშოვოთ ქალი ლამაზი,
ხელმწიფედ დავაყენოთო.
ვაააარალო... გოგოვ, გოგოვ,
შვენიერო გოოოგოვ!
ვაარი... ვაარალო...
— ჰეგი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოგი!
— ჰეგი!
— ჰოგი!
(შემოდის თამაზა).

თამაზა. გამარჯობა თქვენი, ხალხო!
გლეხები: გაგიმარჯოს.
1 გლეხი. ვინა ხარ?
თამაზა. ერთი საწყალი კაცის საწყალი შვილი ვარ და, თუ მუშა გინდათ, გიშველით.
1 გლეხი. მუშა გვინდა, მაგრამ შენ სახეზე არ გეტყობა, თუ საწყალი გლეხის შვილი ხარ, არც ის გეტყობა, რო მუშაობა იცოდე.
თამაზა. მაგას თავი გაანებეთ და მითხარით, რამდენ ვერცხლს მომცემთ დღეში?
1 გლეხი. რამდენი გინდა? ჩქარა გვითხარი, ნულარ მოგვაცდენ.
თამაზა. რადგანაც გამოუცდელი ვარ ყანის მკაში, მე სხვებზე ცოტა ნაკლები მომეცით.
1 გლეხი. ხუთ დღეში ერთ ოქროს მოგცემ.
თამაზა. ძალიან კარგი. სწორედ სხვაგანაც მაგ ფასად ვიმუშავე.
1 გლეხი. აბა, გაუჯავრდით ყანას!
ვაააარალო... ვარალალი,
ვარალალი ვااარალო,
ვااარი, ვااარალოო...
— ჰეგი!
— ჰოგი!
— ჰეგი!
— ჰოგი!
თამაზა. (მღერის) გენაცვალე, შვენიერო,
გენაცვალე კااარგო!
ნეტა კიდევ შეგხვდებოდე,
და სულ არ დაგკااარგო!

(მუშების ხმა მიწყდება. სვეს წაიდებენ ბოლოსკენ)
(შემოდიან არიფანაზე წამოსული ხალხი სანავარდოდ, დროს გასატარებლად. მათთან არის ბერიმზეც. ერიამულით შემოდიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 უმაწვილი კაცი. აბა, სად გინდათ, ქალებო,
დრო გავატაროთ საფარდი.
2 უმაწვილი კაცი. ამ ჩრდილქვეშ სუფრა გაშალეთ,
და აქეთ ცეკვა-ნავარდი.
1 უმაწვილი კაცი. აბა, გააბით მხარი-მხარს,
სთქვით სიმღერები ტკბილები!
ქალები. (მღერიან) ჩუხჩუხით ჩამოდიოდენ
წყარონი ოქროს მილებით.
მეფე მტერია ხალხისა,
თუ ავად ზარდა შვილები,
თუ არ ჩააცვა თავის ხალხს
ჩასაცმელები თბილები.
მორბიან წყალნი საამოდ
მთის უბეს ჩამოცლილები,
ჩრდილნი საამოდ გაშლილან,
მოწეულია ხილები,
გვიმზერენ თვალნი ლამაზნი,
თვალნი ლამაზნი, წყვილები.
(შემორბიან გლეხები და შემოაქვთ ნამგლებით ხელეუ-
რები, რომლებსაც მიაგებებენ სტუმართ):

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხები. გაუმარჯოთ აქა მბრძანებელთ, დაესწარით მრავალს ამ დროს კეთილად, ჯანმთელად და ბედნიერად!

1 უმაწვილი კაცი. თქვენც გაგიმარჯოთ! აჰა, ოქრო, ჩემ სახსოვრად წაიღე შინ.

2 უმაწვილი კაცი. აჰა, შენც, ჩემო ძმაო, იხარე, იბედნიერე და იშრომე ხალხისთვის.

გლეხები. მადლობელი ვართ. ბედნიერად იყავით, ძმობილნო და დობილნო! (მიდიან)

ბირიმზე. მოიცათ, ძმანო!

გლეხები. რას გვიბრძანებთ!

ბირიმზე. ძმანო, თქვენთან ხომ არ არის
ყრმა ხუჭუჭა, ქოჩრიანი,
ტანთ აცვია გლეხურადა,
და სახე აქვს მეფის მგვანი.
მე იმ ყრმისა სინამდვილეს
ვინცა მეტყვის გულახდილად,
საჩუქარსა მივცემ ისეთს,
მზე შეებას გულზე ღილად.

1 გლეხი. აბა, რა ვსთქვათ, შვენიერო;
იქ ბევრია თმა-ხუჭუჭა,
მაგრამ მეფედ ვერვის ვიტყვით,
არ გვინახავს, თვალთ გვეხუჭა.
წამობრძანდით, თვითონ ნახეთ
მეფის მსგავსი, თმა-ხუჭუჭა.
(გადიან მუშები და შორიდან ისმის მათი ხიმღერა).

გლეხების სიმღერა. ვაარალო... ვარალალი-ვარალაო,
ვარალოო. ვაარი... ვაარალო...

1 უმაწვილი. ზოგი კაცი ასე არის,
კარგს ფიქრობს და ცუდს აკეთებს;
ზოგიც ცუდის გამზრახველი
კაი საქმეს გააკეთებს.
გაუმარჯოს კარგის ჩამდენს!
კარგი საქმე კარგი არი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაი კაცი უყვარს ყველას
და ღვთისაა თანაბარი,
აბა კარგსა ვინ ჩაიდენს:
ვინ მონახავს იმ მომმკელებს
და რომელი დაუკოცნის
მათ შრომისგან მოღლილ ხელებს?

პირიმზე. მე! ამ წუთას გავიქცევი,
დავუკოცნი ხელს და თვალებს!
ვენაცვალე იმათ შრომას
და იმათ ბედს განაწვალებს.
იქნებ ვნახო იქ თამაზაც,
იქნებ იგი მათთან არი,
მე მზადა ვარ ყველაფრისთვის,
ოღონდ ვნახო მეგობარი.

(გადის)

ეველანი. ვაშა, ვაშა პირიმზესა,
შვენიერთა ხელმწიფესა:
მადლს უშვავს და ღმერთს უზრდია,
ხოლო შეუმკია მზესა.
ვაშა, ვაშა პირიმზესა,
შვენიერთა ხელმწიფესა!

(შემოდის თამაზა).

თამაზა. სალამი თქვენდა!

1 უმაწვილი. ვინა ხარ შენა?

თამაზა. მუშა, გლახაკი.

1 უმაწვილი. რისთვის მოხვედი?

თამაზა. მენახეთ, ვინ ხართ, და მოგიტანეთ
ეს ხელეური. ღმერთმა დაგასწროთ
მრავალ ამ დროსა ბედნიერად
და ჯანმრთელადა!

1 უმაწვილი. ყრმაო, გეტყობა, ვიღაცას ეძებ.

თამაზა. და აქ არ არის ის შვენიერი.

ეველანი. მეფური სახე აქვს ამ ყმაწვილსა
და მოგვაგონებს ხელმწიფის შვილსა.
გვითხარ, ვინა ხარ, ლამაზო ყრმაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვენიერებავ, მზედ სანახაო?
ან რისთვის მოხველ, დაეძებ ვისა?
მიწისა არის იგი, თუ ცისა?!

თამაზა. მკაში მოღლილნი რომ ვისვენებდით,
წამოველ აქა იმის იმედით,
ვნახავდი ვისმე ნაცნობსა ყრმასა,
მაგრამ სუყველას ვხედავ აქ სხვასა.

ეგელანი. როგორ დამწვარა მზეში ყოფნითა!
როგორ სველია შრომის ოფლითა!
მაგრამ სახე აქვს თითქო მეფური
და გამოხედვაც თავისებური.

თამაზა. მშვიდობით და გთხოვთ ისევ იხაროთ
და, თუ გაწყინეთ რამ, შემიწყნაროთ.
(გადის)

ეგელანი. წავიდა იგი დაღონებული,
და თითქო იმედ გაცრუებული.

1 ეგაწვიდი. აბა, დასხედით, ისევ ილხინეთ,
დრო გაატარეთ, როგორაც წინეთ.
სიმღერები სთქვით ტკბილი და ძველი,
სუფრული იყოს უკანასკნელი.
მერე წავიდეთ შინისკენ მღერით,
რომ მუხების ქვეშ გამოვითვერით.
(მღერიან. რა გაათავებენ, შემოდის პირიმზე. დადონებულია).

ეგელანი. დაღონებული რად ხარ პირიმზე?
რად აღარ გიკრთის ვარდი ღიმილზე?

პირიმზე. ყველას ხელი დავუკოცნე,
ავასრულე ჩემი სიტყვა,
მაგრამ ვისაც დავეძებდი,
ვაჰმე, ის იქ არ დამიხვდა!
ჩემი ცნობა იმის გზასა
ვერ მიადგა და ვერ მიხვდა,
ვისი კოცნა მინდოდა მე,
მაგრამ, დახე, იგი ვის ჰხვდა!...

ეგელანი. „ვისი კოცნა უნდოდა მას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, დახე, იგი ვის ჰხვდა!"

ჰირიმზე. თქვენ რას ნაღვლობთ, რასა დარდობთ.
გააჩაღეთ სიმღერები,
ვინც აქამდე ჰშლიდა ფრთებსა,
მან გაშალოს ისევ ფრთები...

(ტეკვას იწყებენ და ტეკვის შემდეგ მოისმის გლეხთა სიმღერა, რომელიც მკის გათავების დროს იტიან ხოლმე).

გლეხთა სიმღერა. გაუმარჯოს! გაუმარჯოს!
ორმოს ჩადი, ძველად გადი,
შენ ძველი და სხვა ახალი,
გაისტუმრე მტერ-მოყვარე,
მდიდარი და შესაბრალი.

ჰირიმზე. მკა დაასრულეს. დასრულდა დღეცა.
გრილად გადმოდგა საღამოს ზეცა.

1 უმაწვილი. წავიდეთ შინა! მზე ჩადის მთებში
და ახმაურდა ვარდ-ყვავილებში
საღამოს სიო, მომბერი შვების,
სიო მაშვრალთა ტკბილ მოსვენების.
წავიდეთ შინა!

(გადიან, მხოლოდ ჰირიმზე რჩება.)

ჰირიმზე. (მარტო) ნეტავ კიდევ მაჩვენა,
ვისთვისაც იქ წავედი,
ვის გულისთვის ეს გული
იწვის, როგორც აბედი.
რისთვისაც მე დავკოცნე
კოჟრიანი ხელები,
ვისთვისაცა მაქვს თვალნი
მუდამ ცრემლით სველები.
ნეტავ კიდევ მაჩვენა
ვისთვისაც იქ წავედი,
ვის გულისთვის ეს გული
იწვის, როგორც აბედი...

(მოისმის სიმღერა მომკალთა, რომელნიც შინ მიდიან. მღერიან მგზავრულს).

წავიდე მეცა, ჩამოვრჩი ჩემებს. (გადის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გლეხები შემოვლენ მგზავრულით და
გაიგლიან. თამაზა ეველაზე უკან მოდის
და ბანს ეუბნება).

სიმდერა გლეხთა. მოვდივართ მღერით მომკალნი
ოც—ოცი ათეულისა,
ხელში გვიჭირავს ნამგალი
მოყვარე მამეულისა,
მტერ-მოყვრის გამსტუმრებელი,
მალამო გლეხთა წყლულისა,
ამშენებელი საწყალთა,
გამკითხი დაჩაგრულისა,
მოვდივართ მღერით მომმკალნი,
მადლი მაშვრალთა რჯულისა.
(გაიგლიან და სიმდერა მიწყდება).

თამაზა. (მარტო) აი, რა თურმე ძნელი ყოფილა
შოვნა ოქროსი და ლუკმა პურის!
მე კი... მე... ისე ვიყავი ულვთოდ
დამბნევი ოფლის, ხალხთ მონაჟურის.
ნეტავ ეს ჭკუა მქონოდა მაშინ,
ეს ჭკვა ჰქონოდა თვით პირიმზესაც...
ოჰ, პირიმზეო, ნეტა კვლავ გნახო,
რომ ყველაფერი გასწავლო ესა.
ოჰ, მამაჩემო, ნეტა შენც გნახო...
ნეტავ ნახავდე კიდევ შენს ძესა...

სასახლის ბაღი.

პირიმზე. (მარტო) თამაზ! თამაზა!
აი, აქ ხოლმე ვიყავით ჩვენა,
აქ გვიტაცებდა ცად ალმაფრენა.
მაგრამ დავშორდით გიჟური ქცევით.
ნუ თუ ცალცალკე ჩვენ დავიქცევით?!
რა კარგი იყო ლაღობა ჩვენი!
რა კარგი იყო ჩამონადენი
წყალის ჩქრიალი, წყალისა დენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ორივენი ვხარობდით ჩვენა.
აქ ჩიტებს ოქროს ესროდა იგი,
მე მიხაროდა ოქროს ციგლიგი
და ცაში ბრწყინვა მზისა სხივებზე...
რად მიხარობდა, ახია ჩემზე,
რომ ჩვენ დავშორდით და ვიტანჯები.
ნეტავ როდემდი მქონდეს ტანჯვები!?
ნეტა ვნახავდე კვლავ მეგობარსა,
ყრმობის სიამეს, სამოთხის კარსა.
ლამეა მშვიდი... დაცურავს მთვარე
და შეუვერცხლავთ სხივთ არე-მარე...
ფოთლები თრთიან, ჭავლობენ ზღვანი
და ბულბულს გააქვს ტკბილად კაკანი...
(დაქანება).

ცის ფერიები მის გარეშემო
ულიან დავლურს, ცეკვავენ, თრთიან,
ხან ლივლივებენ, ხან ფრთებსა ჰშლიან,
ციდან ვარსკვლავნიც ძირს ჩამოდიან,
მძინარე ასულს თავს ევლებიან,
ზოგი ფეხ მარდად, ზოგიცა გვიან,
პირიმზეს კია ცრემლები სდიან.
სიზმარში ჰხედავს თამაზას მტრიანს.
ყვავები სჭამენ თმა-ხუჭუჭიანს.
შეჰკივლებს იგი, გაელვიძება
და ფერიები რა განქრებიან,
იგი შინისკენ გაეშურება.
(შემოდის თამაზა)

დარაჯი. ვინა ხარ შენა?
თამაზა. გლახაკი ვინმე.
დარაჯი. რა გინდა აქა?
თამაზა. მსურს მეფე ვნახო.
დარაჯი. მეფის ნახვა და შეალამისას?!
სად გაგონილა! ბოროტ-მოქმედი
იქნები ვინმე.
თამაზა. არა, ძმავ, არა! ცამ დამიფაროს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი მიზნით მოვედი აქა.

დარაჯი. რა აზრი უნდა ჰქონდეს ავაზაკს
შუა ღამისას მეფისკარებთან?!

თამაზა ყური დამიგდე: მეფის შვილისგან,
თამაზასაგან ვარ მოგზავნილი.

დარაჯი. თამაზასაგან?

თამაზა. დიაღ.

დარაჯი. და თვითონ განა ვერ მოვა?
რისთვის დასჭირდა სხვების მოგზავნა?

თამაზა უნდა გაიგოს: მეფე მიიღებს
გაგდებულ შვილსა, თუ გადასწყვიტა
მისი დაღუპვა სამარადისოდ.
უცბად მოსვლა ვერ გაუბედია.

დარაჯი. ეგ მე არ ვიცი. როცა გათენდეს,
მაშინ მობრძანდი და თვითონ ჰკითხე.

თამაზა. შენ არაფერი არ გაგიგია?

დარაჯი. მე იმის მეტი არ მეკითხება,
რომ ფრთხილად ვიდგე სადარაჯოზე.
გასწი, ძმავ, ნულარ მებაასები,
თორემ არა მაქვს ნება ბაასის
დარაჯობის დროს.

(თამაზა გადის)

დარაჯი. იყო დრო ტკბილი და გადამცდა თავს,
დარაჯად ვდგავარ ჭმუნვაში მყოფი
და სატრფოს ნაცვლად ჩახუტული მყავს
მასზე ულრმესად ხაზინის თოფი.

(შემოვარდება მეფე, თან შემოსდევენ მხლებელნი).

მეფე. სად არის იგი! სად არის, სადა?
მე თვით გავაგდე, გავუხდი მტრადა!
სად არის იგი, მომგვარეთ აქა,
თორე გულს მადევს ჯავრი და ლაქა!
მეჩვენა იგი, კვნესოდა ველად,
წყვდიადი ღამე ეხვია გველად.

მხლებელი. სიზმარი იყო ეგ, მეფევ ჩვენო!
დამშვიდდი, წყნარად! გთხოვ დაისვენო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე. ახია მაზე! ის იყო მჩატე,
ხალხისა მტერი და მოღალატე.
თვითონ მე დავგმე, იავარ ვქმენი! —
დეე დალიოს მწარედ თვის დღენი.

მხლებელი. მობრძანდი, მეფევ, საწოლი გელით
გაშლილი შენის მეუღლის ხელით.
ოგიცა ტირის ცრემლითა ცხელით. —
მობრძანდი მეფევ, საწოლი გელით.

მეფე. რაღა დროს ახლა საწოლი არის,
ორივე ყური ჩაცურდა მთვარის,
და დღემ შემოხსნა ვარდისფერ ხელით
აღმოსავლეთით სამოთხის კარი! —
წავიდეთ, მაგრამ დრო ადარ არი
ახლა ძილისა... სამეფო მელის. (გადის).

(ნელა-ნელა თენდება)

დარაჯი. ძნელი ყოფილა დაკარგვა შვილის.

(შემოდის თამაზა, ერთ გლეხთან ერთად).

თამაზა. მარტოს მისვლა ვერ გამიბედია,
ძმავ, მეხათრება მე მამაჩემის.

დარაჯი. ძნელი ყოფილა დაკარგვა მამის.

თამაზა. გათენდა. მე აქ დაველოდები,
სანამ გამოვა მამა გარეთა.
დეე თვით მნახოს, მაშინ შევატყობ,
მიმიღებს ისევ, თუ სულ აიღო
ხელი ჩემზედა.

გლეხი. მეფის შვილს მამის ნახვა გეკრძალვის?

თამაზა. ნეტა ვიცოდე, რას მეტყვის მამა?
როგორ ბრძანდება, დარაჯო, მეფე?

დარაჯი. კარგად.

თამაზა. მითხარი, შვილი ხომ არ უკითხავს?

დარაჯი. ნურაფერს მკითხავ.

თამაზა. ნურა მკითხავო.

(ისმის მეფის ხმა)

დარაჯი. თვით მოდის მეფე. გასწით იქითა!

(გამოდის მეფე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე. კეთილი საქმე, სამშობლო, ერი
და დაჩაგრულთა დღე ბედნიერი,
ცამ ნუ მოგვაკლოს.
გათენდა დილა. იქ არის ვინა?

თამაზა. შენი ვარ შვილი, მშობელო ჩემო —
შენი სიტყვების გავიგე გემო,
მიმიღე ისევ, მშობელო ჩემო.
მეფე. როგორ დამწვარა მზეზე დგომითა,
დაჭკორებია ხელნი შრომითა!
სასახელოა, რომ გასძარ მკლავი,
მაგრამ მითხარი, სად, რად იყავი?
თამაზა. აი, მე, მამავ, ოქრო ვიშოვე,
ჩემის მარჯვენით, განა ვითხოვე?
მეფე. მერე? ჩიტებსა ალარ ესროლე?
თამაზა. არა, მამილო.
მეფე. რატომ მერე?
თამაზა. ძლივს შევიძინე წვრთა და დაგვით
და აბა, ჩიტებს როგორ ვესროდი. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე. ჭოო, ხომ მიხვდი, რისთვის გიშლიდი
ოქროს ფანტვასა და უსაქმობას!
ახლა შვილი ხარ ნამდვილი ჩემი
და დღეის იქით იცოდე ესა:
შენ რომ პურსა სჭამ, ხალხმა დასთესა,
ოფლი დაღვარა, ოფლში იკვნესა
და მოიყვანა ვაი—ვიშითა.
ოქროს რომ ხარჯავ, იყავ შიშითა,
არ ჰხარჯო მეტი შენი ნებისთვის,
სიამოვნება—გემოვნებისთვის.
თუ შეინახავ ხალხს ერთგულადა,
იმეფებ დიდხანს შვებით, სრულადა.
შენ არ იმსხვერპლო ხალხი და ერი,
შენ თვით ემსხვერპლე ხალხს ღვთის-
ნიერი...
და ემსახურე ხალხს საუკუნოდ.
აჰა, გვირგვინი მიიღე ჩემი!
(შემოდის მეფის ამალა და ოჯახობა.
შემოდის ბირიმზეც)

ბირიმზე. მეფეო, იმ დღეს მინდოროში
გლეხთ დავუკოცნე ხელები,
რო მუშაობდენ ჩვენთვისა,
რომ ჩვენი იყვნენ მცველები.
ნება მიბოძე, თქვენს ვაჟსაც
აქ დავუკოცნო ხელები,
ლუკმა პურისა შემძენნი,
შრომისა ოფლით სველები.
(დაიჩოქებს მის წინ და უკოცნის ხელებს).

მეფე. იბედნიერეთ ორივემ,
მიიღეთ მხარე სამეფოდ.
შიგ ერნდა დაჰრგოთ სიმართლე
და წმინდა შრომა ამეფოთ.
(საერთო მხიარულება).

ი. მჭედლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზი ტირის.



ო, რა ცივი ხარ, რა ცივი, ჩემო სტუმარო!.. მწარედ ამოიკვნესა სათუთმა ვაზმა და უნებლიედ გადაიზნიქა ხმელი სარიდან.

შუა ღამე იყო, როცა თოვლის პირველი ფიფქი მიწის გულს დაეცა. ბაღში ცივმა სიცილმა გაიწკრიალა... მას მოჰყვა ძლიერი ქარის ზუზუნი. ახმაურდა შემოძარცული ხის ტოტები, რომელნიც ისევ ამაყად გაიყურებოდენ განრისხებულ ცისკენ.

— არ მოელოდით განა?. იმუქრებოდა ზეცა.

თოვლის გუნდები თანდათან იზრდებოდა და მძიმედ აწვებოდა მიდამოს. სათუთი ვაზი ძირს ჩაიკრუნჩხა. ემწვავა ტკივილები და დედის მკერდს მაგრა მიეკრა. თეთრი ფიფქი ცდილობდა ყოველი მხრიდან შემოხვევოდა ვაზს და ცივი სიყვარულით დაეკოცნა გათოშილი ყლორტები.

— წამოდექი ზეზე, ჩემო პატარავ, წამოდექი!.. მე შეგახვევ თეთრ პერანგში, მე ჩაგიკონავ თეთრ მკერდში!

მიეალერსა ფიფქი.

— ოო, რა მწვავე ხარ!.. შენს მკვლავზე მე მოვკვდები...

ყრუდ ამოილუღლუღა ვაზმა.—მე დედის გული გაჰათბობს, დედის გულში ვიცოცხლებ.

— რაო?!. შე ულირსო, შავს მიწას რომ კოცნი, ვერა მხედავ, რა თეთრი და ლამაზი ვარ?.. თუ ალერსი აღარ გინდა, ისე დაგწვავ, რომ დედის ცრემლებმაც კი ვერ დაგიამოს ტკივილები.

— გათენდება... მზე ამოვა...

ასეთმა პასუხმა უფრო გაარისხა ფიფქი. ის უძრავად ჩამოწვა ბაღში. ზეცას ბროლის ბრჭყალები გამოსთხოვა და ისე უჭერს სათუთ ყლორტებზე, რომ ლამის დაახრჩოს,..

ვაზი ტირის დედის გულზე.

მიმქრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა რომაელი ქალი.

ძველი დროის ამბავი.

ომის ისტორიის ბრწყინვალე ხანა იყო, ქრისტეს დაბადებამდე უკანასკნელ საუკუნეში, როდესაც სახელგანთქმული სარდალი იულიოს კეისარი თავისი ლაშქრით გალიიდან (ახლანდელ საფრანგეთიდან) გამარჯვებული დაბრუნდა. კეისარი დიდი პატივით მიიღეს; გარდა ამისა, რომ ის რომის რესპუბლიკის პირველი კონსული იყო, სენატმა დანიშნა ის სიკვდილამდი იმპერატორად და მიანიჭა მაღალი ხარისხი — დაფნის გვირგვინის ტარებისა.

წლის საუკეთესო ნოყიერ თვეს დაარქვეს მისი სახელი — იულიო, ტაძარში დადგეს მისი ძეგლი და მის საკუთარ სახლს ისეთი სახურავი დაადგეს, როგორიც ტაძრებსა აქვთ.

კეისრის ერთი მხურვალე თაყვანისმცემელთაგანი იყო მდიდარი ვაჭარი მარკ — ფულვი პრობუსი, რომელიც გალიის ლაშქრობის დროს ჯარს სურსათს აწოდებდა და დიდი შეძლება შეიძინა. მან იყიდა მამული ხმელთა შუა ზღვის ნაპირას, ოსტიაში, რომიდან ორმოცი მილის მანძილზე და აიშენა საგანგებო აგარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა ივლისის თვე და მას მოჰყვა აუტანელი ზაფხულის სიცხეები. თვითონ პრობუსი თავისი უფროსი შვილით, ლიუციით, თავის აგარაკში გაემგზავრა, რომ ოჯახისათვის მომზადებული ბინა დაეხვედრებინა. ოჯახი, რომიდან წამოსვლის დღეს, დილა ადრიანადვე ემზადებოდა და გამგზავრების წინ ჩვეულებრივი ალიაქოთი იდგა. სამი სამგზავრო ჩასაჯდომი ჯორებ—შებმული კარებს მიაყენეს. ოჯახის უფროსი პაულა თავისი უმცროსი შვილებით: მეორე ვაჟით, მოსწავლე ავლიით და მოსწავლე ქალი—ტერტილათი უკვე კიბით ქუჩაში ჩამოვიდენ. მათ მოჰყვენ შინაური მონა ქალები და კაცები. ამ დროს ტერტილამ უცბად დაიყვირა:

— სად არის პრისცილა? კონნა! სად არის ჩვენი პრისცილა?

კონნა იყო მონა—ბავში, ტერტილას ხნისა, პრისცილა—ტერტილას დედოფალა.

პატარა მონა, კონნა, უბრალო ჩამომავლობისა არ იყო: მისი მამა გალიის ჯარის წინამძღოლი იყო. როდესაც კეისარმა გაიმარჯვა, კონნა მამასთან ერთად ტყვედ წამოიყვანეს და ორივე მონებად გაიხადეს. ტყვეებს რომ საჯაროდ ჰყიდდენ, მამა-შვილი ერთმანეთს დააშორეს და უბედურნი სხვადასხვა ხელში ჩავარდენ—ფულვი პრობუსმა იყიდა პატარა მონა. მას მოეწონა ეს ტყვე, რადგან მას ამაყი და და კეთილშობილური სახის გამომეტყველება ჰქონდა.

ყმაწვილს რომ ყიდულობდენ თავი თეთრი უკუსაკრავით ჰქონდა შეკრული. ეგონათ, რომ რამე ავადმყოფობა სჭირდა.

— რით არის ავად?—იკითხა პრობუსმა.

— სულაც არ არი ავად! ბავში ჯანმრთელია,—უპასუხა გამყიდველმა,—ხოლო დაუცხრომელი ხასიათი აქვს.

— არა უშავს რა... მაგას ჩემი ცოლი მალე მოარჯულებს.

მართლაც, პირველ ხანებში ყველას ეგონა, რომ ის ისეთი დაუცხრომელი იქნებოდა, როგორც თვით გალლია იყო. დაბადებიდანვე განებივრებული, რადგან მამას შესანიშნავი ადგილი ეჭირა, ყმაწვილი შეუპოვარი და კერპი გამოდგა, ახალ მდგომარეობას არ ურიგდებოდა, ომის კანონებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფრად აგდებდა. პრობუსის ცოლმა პაულიმ კონნა ხელზე მოსამსახურედ აიყვანა, მაგრამ პატარა მონა ჟინიანობდა, ახლოს არ ეკარებოდა, ვერავითარმა სასჯელმა ვერ გასჭრა, კერპობა ვერ მოაშლევინეს...

ერთხელ ტერტილამ დაინახა, რომ კონნას ეჭირა მისი დედოფალა, რომელიც მამამ დაბადების დღეს აჩუქა. ძვირფასი დედოფალა გაკეთებული იყო თიხისაგან რომის გამოჩენილი მეჭურჭლის მიერ.

— მართლა, ხომ შვენიერია ჩემი პრისცილა? დაეკითხა მას ტერტილა.—აბა, მიშველე, კონნა, ჩავაცვათ, მოვრთოთ!..

ამის უარს რომელი ბავში ეტყოდა! კონნას მოღუშული სახე ერთს წამს, თითქოს მზემ შეანათაო, გაბრწყინდა და სიფრთხილით, როგორც ნამდვილი დედა, შეუდგა თავის პატარა ქალბატონთან ერთად დედოფალას მორთვა—ჩაცმას. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ტერტილას აკოცა. ამ დღიდან ესენი განუყოფელი მეგობრები გახდენ. პრობუსმა რომ ამათი მეგობრობა ნახა, შვილს გამოუცხადა:

— აბა, ტერტილავ, დღეის იქით კონნა შენი იქნება ისე, როგორც შენი დედოფალა.

რომიდან რომ მთელი ზაფხულით სააგარაკოდ მიდიოდენ, ტერტილამ უკანასკნელ წამს თავისი ძვირფასი დედოფალა მოიგონა, რომელსაც ახლა მარტო თავისად აღარა სთვლიდა და ამბობდა—ჩვენი—ე. ი. მისი და მონა კონნასი. კონნას არ დავიწყებოდა მათი საყვარელი დედოფალა და გულში ჩაკრული მოჰყავდა.

სამი ჩასაჯდომიდან ორი იყო უბრალო, რომელშიაც მსახურნი ისხდენ, ერთი კი ლამაზი ფარდებითა და ბალიშებით იყო მორთული. იმაში იჯდა თვითონ პაულა თავისი ვაჟითა და ქალით და ტერტილას გვერდით კონნა. ამას ეჭირა პრისცილა და როგორც ნამდვილი გადია, კალთაში ჰყავდა, რომ არ მოსტეხოდა მჩატე ხელ-ფეხი, რადგან ქვით მოფენილ გზაზე მათ ჩასაჯდომს რახა-რუხი გაჰქონდა.

ჯორები სიჩქარით დაეშვენ სერზე, სადაც ქალაქის უმთავრესი მოედანი, „ფორუმი“ იყო. ფორუმი მორთული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ძეგლებით, ღმერთებისა და გამოჩენილი სარდლების ქანდაკებით; იქ ხდებოდა პოლიტიკური ყრილობები და ირჩეოდა საზოგადო საქმეები. დღეს კი, რადგან ბაზრობა იყო, იქ დიდძალი ხალხი ტრიალებდა და ხმაურობდა. მეტადრე დუქნების და მაღაზიების წინ. ამ ადგილას პაულას ჩასაჯდომს ძალაუნებურად ნელა უნდა ევლო. პაულამ გადასწია აბრეშუმის ფარდები, რომ ყმაწვილებს აუარებელი ხალხის მოძრაობა დაენახათ.

კასტორის ტაძართან კი ჩასაჯდომი გაჩერდა, რადგან მრავალი ხალხის გამო ძალიან ძნელი გახდა გავლა. სწორედ ამ ადგილას ჰყიდდენ მონებს და ყველა გამვლელ-გამომვლელს უნდოდა დაენახა და გაეგონა, თუ ვაჭ-ები როგორს ქებას ასხამდენ თავიანთ „ცოცხალ საქონელს“.

— გთხოვთ მოგბრძანდეთ, ბატონებო, ნახვისთვის ტორანიუსი არაფერს გამოგართმევთ; იმას თავის დღეში არავინ მოუტყუებია. აი, ამაზე უფრო ლონიერს, ჯანმრთელს, შვენიერ პიროვნებას ვერ ნახავთ, თუნდა მთელი ქვეყანა მოიაროთ...

ყმაწვილები და კონნა ფეხზე წამოდგენ, რომ უფრო კარგად დაენახათ ნაქები „ადამიანი“.

უეცრად კონნამ ხელი გაიწვდინა, შეჰკივლა—და უგრძნობლად პაულას ხელზე დაეცა... ყველაზე წინ გასაყიდად გამოყვანილი მონა გალი შემკული იყო დაფნის გვირგვინით. ეტყობოდა, რომ ის იყო გამოჩენილი ტყვე, გალიის ჯარის რომელიმე სარდალი. ამას რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა პატარა მონასთან? ეტყობოდა, რომ ამათ ერთმანეთი იცნეს.

კარგა ხანი გავიდა, სანამ კონნა გონს მოვიდოდა. ამათი ჩასაჯდომი უკვე შორს იყო რომიდან და ოსტიის დიდ გზაზე მიექანებოდა. ყმაწვილმა მაგრა დახუჭული თვალებით თავი ბალიშში ჩამალა და ამაო იყო რისამე გამოკითხვა, მისგან ვერაფერს შეიტყობდით.

კარგა დალამებული იყო, როცა ესენი ფულვა პრობუსის აგარაკში მივიდენ. აგარაკი მდებარეობდა ზღვის პირად, ქედის კალთაზე. მას გარს ერტყა შვენიერი პატარა ტყე შადრევანით, ფანჩატურებით და იშვიათი ფრინველებით სავსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენებისას აგარაკის კოშკიდან რომ გადაგეხედათ, დაინახავდი მონა მეცხვარეებს წვეტიანი არახჩინებით, რომელთაც გულზე სტვირი ეკიდათ. ესენი მიელალებოდენ ცხვრებსა და თხებს. ნახავდით კიდევ ნახევრად ტიტველა, ღონიერ მხარ-ბეჭიან სოფლელებს, რომელნიც მიუძღოდენ თავიანთ შავს, გრძელ რქებიან ხარებს. იქიდანვე მოჩანდა მახლობელ სერზე აგარაკი იმ ვაჭარ ტორანიუსისა, რომელიც წინა დღეს რომის ფორუმზე მონებსა ჰყიდდა.

დილიდანვე ავლიი თავისი უფროსი ძმით თევზების დასაჭერად მიდიოდა, მათი და, ტერტილა, და კონნა კი პატარა ტყეში მირბოდენ, ტერტილას აგრეთვე უყვარდა მონებთან ერთად ბუდეებიდან ახალი დადებული კვერცხების ამოსაღებად სიარული. მერე ისა და მისი განუყრელი მეგობარი კონნა ერთად დასეირნობდენ და აგროვებდენ მინდვრის ყვავილებს თაიგულებისა და გვირგვინების შესაკრავად.

თუმცა სეირნობა და გართობა კონნას არ აკლდა, მაგრამ ის ადრინდელად არ მხიარულობდა და ხოგჯერ გაყვითლებულ ლოყებზე სულ უმიზეზოდ ცრემლები ჩამოსდიოდა.

— რა დაგემართა, კონნა?—ჰკითხავდა ტერტილა,— შენ რაღაც ნაღველი გაწუხებს...

კონნა რომ ხმას არ გასცემდა, ტერტილა თავის დედოფალას მიმართავდა:

— კონნა რისთვისღაც გვემდურის! შენ ჭკვიანი ხარ, არასოდეს არა ტირი ხოლმე.

ერთხელ პეპელებს რომ დასდევდენ და მაყვალს კრეფდენ, ყმაწვილები უნებლიედ ტორანიუსის მამულში შეეხეტენ და აგარაკის წინ გაჩნდენ. იქ ბორკილით შებოჭილი ვილაც ბუმბერაზი მონა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ვეებერთელა წისქვილის ქვას ატრიალებდა. მათთვის ახალი არ იყო ამ გვარი სანახავი და ის იყო, უნდა გაევლოთ, რომ მონამ თავი მაღლა ასწია.

— კონნა!—შეჰყვირა მან და ხელი გაიშვირა.

კონნა მივარდა და ქვითინით ყელზე მოეხვია.

ტერტილამ იცნო, რომ ეს ის მონა იყო, რომელსაც ტორანიუსი ბაზარში ჰყიდდა. თავში რაღაც აზრმა გაუელვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როდესაც კონნა მონას მოშორდა და, თითქოს ბოდიშით, წარმოსთქვა: „ეს მამა ჩემიაო!“—ტერტილა უკვე ყველაფერს მიხვდა.

როდესაც ესენი თავის აგარაკში ბრუნდებოდენ, კონნა მიუბრუნდა ტერტილას და უთხრა:

— ჩემო კარგო ქალბატონო, გთხოვთ ჩემი საიდუმლო არავის გაუმხილოთ.

— მოსვენებით იყავ, არავის ვეტყვი, —დაჰპირდა ტერტილა.

ახლა ყმაწვილები ყოველ დღე მიეშურებოდენ იქით მხარეს სწორედ იმ დროს, იმ საათს, როდესაც იცოდენ, რომ ნახავდენ სამუშაოზე უმოწმოდ კონნას მამას, რომელიც პატრონს დიდი ფასის გამო ჯერ ვერ გაეყიდა. ტერტილა მოშორებით დადგებოდა და უდარაჯებდა, რომ მამა-შვილი არავის დაენახა.

სეირნობის დროს ყმაწვილებს ახლა სულ სხვა სალაპარაკო ჰქონდათ. ისინი აღარ ხედავდენ აღარც პეპელებს, აღარც ყვავილებს და აღარც ხილეულობას. წამდაუწუმ შედგებოდენ და დაბალი ხმით რაღაც ცხარე რჩევაში იყვნენ. ზოგჯერ კონნა მუდარებით, გულზე ხელ დაკრეფილი, იცქირებოდა, ტერტილა კი ჩაფიქრებული იყო. ზოგჯერ კი ტერტილა მოჰყვებოდა ლაპარაკს, შეუსვენებლივ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, კონნა კი ცრემლით იღვრებოდა.

ერთხელ ტერტილამ უთხრა მამას:

— დღეს ჩვენი მამულის გამგე ოსტიუში მიდის. მე დიდი ხანია ნავთსადგურის ნახვა მინდა. შეიძლება, რომ წავყვე?

— რატომ არა, წადი,—უთხრა მამამ.—ჩვენი მამულის გამგე სანდო კაცია!

— მაგრამ იმასთან მარტო მომეწყინება. შეიძლება, რომ თან კონნა წავიყვანო?

— რასაკვირველია, ჩასაჯდომში იმისთვისაც ადგილი მოინახება.

კონნა იქ იდგა და სიხარულით შეჰკივლა.

მალე ისინი ოსტიაში გაჩნდენ. მათთვის ერთი გემი იყო უფრო საყურადღებო და იქ ავიდენ. მათ სთხოვეს გემის პატრონს ეჩვენებინა მათთვის, თუ როგორ უნდა იალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანს ხმარება და როგორ მოწყობა. მათ აქ შეიტყეს, რომ, თუ ქარი ხელს შეუწყობს, სამ დღეზე შეიძლება მარსელში მისვლა.

ბინდისას, მზე რომ ჩადიოდა, ყმაწვილები უკვე სახლის წინ, ზღვის პირას იყვნენ. კონნამ ტერტილას წინ დაიჩოქა და დიდი მოწიწებით და ალერსით უკოცნიდა ხელებს, მერე მოიტაცა თავიანთი საყვარელი პრისცილა და მხურვალედ გულში ჩაიკრა. ბოლოს, თითქოს ველარ გაბედა ხელახლა შეეხედა თავის ქალბატონისა, ან დედოფალასთვის, ზღვისკენ ჩაირბინა.

მეორე დილას ტერტილას ადრე გამოეღვიძა რაღაც უცნაური ხმაურობის გამო. მან საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა და თავისი დედოფალათი ამბის გასაგებად ეზოში გამოვიდა. ვი ღაც უცნობი კაცები მათ გამგეს ელაპარაკებოდენ.

— ჩვენი ბატონი ტორანიუსი,—ამბობდენ ისინი,— ჯავრობს, ცეცხლსა ჰყრის...

— რაო, განა ძალიან აფასებს მაგ გალლს?—ჰკითხა ჩვენმა გამგემ.

— როგორ არ აფასებს! ეგ ხომ ყველაზე გამოჩენილი მონაა გალლიიდან წამოყვანილი. მაშ აქ არავის უნახავს?

— არა. სხვისა რა ვიცით, წუხელის აქაც დაგვეკარგა პატარა გოგო მონა და ვერსად მიპოვნია.

— პატარა გოგო სად დაიკარგება! თვითონვე დაბრუნ-დება—იმ გალლის საქმე სულ სხვაა. რაც უნდა გამოჩენილი წოდებისა იყოს, სასჯელს ვერ გადარჩება. ტორანიუსი უპირებს ცირკში ვეფხებს მიუგდოს დასაგლეჯად.

ამ დროს ტერტილამ თვალი შეასწრო თავის მშობლებს, რომელნიც სახლიდან გამოვიდენ და მაშინვე ტყისკენ მო-კურცხლა.

ფულვი პრობუსი და პაულა იქითკენვე წავიდენ და მი-უახლოვდენ იმ ფანჩატურს, სადაც ჩვეულებრივ მათი ქალი— თავისი მეგობარი მონით—თამაშობდენ. ტერტილა მართლაც იქ იყო. პრისცილა სკამზე დაესვა, თვითონაც გვერდით მო-ჯდომოდა და, როგორც ცოცხალ ბავშვს, დარიგების კილო-თი ელაპარაკებოდა.

— ჩემო პრისცილა, მართალია, კონნამ სამუდამოდ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვატოვა, მაგრამ ძალიანაც არ უნდა ვინაღვლოთ. მისი დარჩენა ჩვენთან შეუძლებელი იყო. მისი მამა თურმე წინამძღოლი ყოფილა ალპის იქით რომ გალლები არიან. ის თავგანწირულად ებრძოდა ჩვენს დიდებულ იულიოს კეისარს. ის ტყვედ წამოუყვანიათ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ თითქო დაამარცხეს, ის გაუცია ერთს მისივე მეომარს და მერე უბედური გაჰყიდეს, როგორც მონა თავისი პატარა ქალი კონნათი. ხომ გესმის, ჩემო პრისცილავ, რა ბოროტება ჩაიდინეს! მაგისთანა ნაძირალა გამცემის მიზეზით მან თავისუფლება დაჰკარგა და მონად გახდა! ჩვენ კი, პრისცილლა, ხომ რომაელები ვართ! ჩემმა ძმამ, ლიუციმ, პროფესორის ერთი ლექციის შემდეგ ამიხსნა, რომ რომის ლეგიონები ყველაზე უფრო მამაცნი და ისეთი კეთილშობილები არიან, რომ მტრების დამარცხება გამცემლობით მათთვის საჭირო არ არისო. როდესაც შევიტყე, რომ იმ გალლს, კონნას მამას, შეუძლია გაქცევა და თავის შველა გემზე, რომელიც ჩვენ გუშინ ოსტიაში გავსინჯეთ, მე ვუთხარი კონნას მამასთან ერთად თავისათვის ეშველა. ის ხომ ჩემი იყო და უფლება მქონდა გამეთავისუფლებინა. ახლა ხომ ყველაფერი შეიტყე, ჩემო პრისცილავ, და იმედია, არ იდარდებ მის მოშორებას.

ასე ლაპარაკობდა ყმაწვილი და დედ-მამას კი ვერა ხედავდა. მათ არც ერთი სიტყვა არ გამოპარვიათ და ფეხაკრეფით წავიდენ. როდესაც ისე გაშორდენ, რომ ტერტილა მათ ლაპარაკს ვერ გაიგონებდა, ფულვი პოობუსმა უთხრა ცოლს:

— ჩვენ, პაულა, უნდა ვამაყობდეთ ჩვენი ქალიშვილით: ის ნამდვილი რომაელი ქალია!

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მხატვარის ფიქრი.

აკეტილ ფანჯრიდან
გავსცქერი მთაგრეხილს...
ყინულის ჩუქურთმა
მოვხაზე რვეულში.

* *
*

და ვკოცნი მნათობის
ვერცხლის თმებს ჩამოშლილს
და ვხატავ მის სახეს
ჩემს ფიქრთა ხვეულში.

* *
*

ხვალ ნახვენ ამ სურათს
ბოლოლის ფერ ფარდაზე,
თოვლის თეთრ გუნდებში
გედის ფრთის იერით...

* *
*

ნეტა ვინ რას იტყვის
პატარა მხატვარზე?
ნეტა ვინ შემაქებს
ოცნების სიმღერით?..

მიმქრალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრაზანას*) ხელოვნება.

ევრს გაუკვირდება ეს ამბავი. სად კრაზანა, და სად ხელოვნებაო, მაგრამ როცა ჩემს ამბავს მოგიყვებით და ჩემს ცხოვრებას გაგაცნობთ, დარწმუნდებით, რომ ჩემი ცხოვრება თავიდან ბოლომდე არის საუცხოო ხელოვნება. თქვენ, პატარა მკითხველებო, კარგად იცით ფუტკრის ხელოვნება, რადგან ხშირად იგემებთ ხოლმე მის ტკბილს ნახელარსა—თაფლს. მართალია, მე თაფლს მხოლოდ ჩემი შვილებისათვის ვამზადებ, მაგრამ ხელოვნება ხომ იმაზედ არაა დამოკიდებული, თუ ვისთვის ამზადებს ხელოვანი ამა თუ იმ საგანს. ეს ერთი და მეორეც ისა, რომ არც ფუტკარი აკეთებს თქვენთვის თაფლსა და ცვილს. ერთსაც და მეორესაც ის თავის შთამომავლობისათვის ამზადებს და თქვენ რომ ძალადობით ართმევთ მას ზედმეტ თაფლსა და ცვილს, ეს რა მისი ბრალია? ამის გამოისობით ხშირად მთელი სკაც იღუპება შიმშილით, თქვენ კი პირს იტკბარუნებთ, სადაა სამართალი? მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთს უსამართლობას მხოლოდ უმეცარნი სჩადიან, მცოდნე ადამიანი კი არასოდეს არ მოსტაცებს ფუტკარს იმოდენს თაფლს, რომ სკას არ დაუტოვოს საკმარისი თავის გამოსაკვებად. გარდა ამისა ფუტკრისაც თუნდ, ეშინია ადამიანს, მაგრამ თავის სარგებლობისათვის კიდეც უყვარს იგი. მე კი? მე ვეზიზღები. დიაღ, ვეზიზღები ადამიანს, რომელიც ყოველ

*) კრაზანას იმერეთში ბზიკს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონისძიებასა ხმარობს ჩემს მოსაკლავად. მეც, რასაკვირველია, სამაგიეროს ვუხდი და, საცა და როცა შემიძლია, ვკბენ. არა, კი არა ვკბენ, არამედ შხამიან ისარსა ვასობ. და სად ისარი და სად საკბენი იარაღი—პირი? ჩემი პირი სრულიადაც არაა ადამიანის საკბენად მოწყობილი. იმისი საქმეა ხის დახვრა, ანუ უკედ რომ ვსთქვა, ხის ნახერხად დაფხვნა, ყვავილების ტკბილი წვენის შესუტვა და სხვა მრავალგვარ ხილისა და მწერების შეჭმა. და იცით მერე თქვენ, თუ რატომ ვფხვნი ხესა? აი, აქ არის უმთავრესად ჩემი ხელოვნების საიდუმლოება და სიამაყეც. დიაღ, სიამაყეც, იმიტომ რომ პირველად ჩვენმა გვარმა მოიგონა ხისგან ქაღალდის კეთება. და თუ ადამიანი ამაყობს მით, რომ ქრისტეს დაბადების წინ მეორე საუკუნეში გამოიგონა ქაღალდის კეთება, განა ჩვენ მეტი საბუთი არა გვაქვს ვიამაყოთ, რომ ადამიანზე ადრე რამდენიმე მილიონი წლების წინ გავაჩაღეთ ეგ საქმე? ოღონდაც, რომ ჰო. იქნება იქვი გეპარებათ, რომ ეს დრო გადავაჭარბე? ინებეთ, ამასაც დაგიმტკიცებთ. ყველას თუ არა, ზოგს თქვენგანს მაინც მოეხსენება, რომ ადამიანი ყოველ ცხოველზე უფრო გვიან გაჩნდა დედამიწაზე; რომ ცხოველ არსებათა გაჩენა ხდებოდა თანდათანობითა და დიდის ხნის განმავლობაში; რომ მწერებიდან ადამიანებამდე უშველებელი მანძილია; რომ ეს ცხოველ არსებათა თანდათანობითი განვითარების მოვლენა არის ბუნების ძირითადი კანონი. და რადგან ეს ასეა, მაშასადამე ქაღალდის კეთების გამოგონების პირველობაც ჩვენ გვეკუთვნის. მხოლოდ დასაწერად და წიგნების საბეჭდად როდი გვინდა ჩვენ ქაღალდი. ამის თავი და უნარი საიდან ექნება ჩვენისთანა საცოდავ მწერს? ჩვენ ის გვინდა ბუდის გასაკეთებლად. დიაღ, იმ ბუდე-სადგომის, სადაც ჩვენ ვზრდით ჩვენს ახალთაობას. თვით ის ნაჩვრეტები, რომლებშიაც დედა-კრაზანა კვერცხებსა სდებს და სადაც იზრდება მთელი ახალი თაობა, გახლავთ ქაღალდისაგან გაკეთებული. ეს ქაღალდი კი კეთდება ხის ფხვნილისა და ჩვენი ნერწყვისაგან სწორედ იმგვარად, როგორც იგი კეთდება ქაღალდის ქარხნებში.

ამბობენ, ქაღალდის კეთება პირველად ჩინელებმა გამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონეს ქრისტეს დაბადებამდე ოთხასი წლის წინადო. ის კი არავინ იცის, თუ რა გზით მიაგნო იმ ჩინელმა ამ გამოგონებას. ეგებ კრაზანების ცხოვრების დაკვირვებამა და შესწავლამ ამცნო მას ეს საიდუმლოება? ვინ იცის! და თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ ჩვენც შეგვიძლია ვიამაყოთ იმ სწავლა-განათლების გავრცელებით, რომელიც მოახდინა დედა-მიწის ზურგზე ქალალდის კეთების გამოგონებამ და მოვთხოვოთ ადამიანს უფრო ლმობიერი მოპყრობა ჩვენი ხანმოკლე ცხოვრებისა, ვიდრე იგი იჩენს დღეს. ან იმოდენს რას ვუშლით ადამიანს? თუ ცოტაოდენის ყურძნისა, ვაშლისა, მსხალისა და ატმის გემოს გაღებით ზარალს ვაყენებთ მებაღეობას, ნუ დაივიწყებთ, რომ ამასთანავე სარგებლობასაც ვაძლევთ მას მავნე ჭია.ღუების მოსპობითა და ზოგ ბალახთა განაყოფიერების ხელის შეწყობით. მართალია, ამ საქმეშიაც ფუტკარი გვჯობნის, მაგრამ ამ ჩვენს ახლო მონათესავეესთან მაინცა და მაინც ჩვენ ფეხს არა ვჭიმავთ.

თუ ფუტკარზე მეტად დაუნდობელი და სასტიკი ვართ, ამასაც თვისი გასამართლებელი საბუთი აქვს. ყოველი მოვლენა გარშემო პირობათა გავლენაზეა დამოკიდებული. ყველა ჩვენ წინაალმდეგაა ამხედრებული. თვით ბუნებაც კი, რომელიც მთელ ჩვენს გვარს შემოდგომაზე მუსრს ავლებს ხოლმე რამოდენიმე დედა-კრაზანას გარდა. შემოდგომის პირველი ქარია ჩვენი ჯიშის სულთამხუთავი. თქვენც ბევრჯერ გენახებათ, ბატონებო, შემოდგომაზე ძლივს-ძლიობით უგზო-უკვლოდ მოხეტიალე კრაზანები. ეს მათი უკანასკნელი დღეებია.

შემოდგომაზე სიცოცხლის სურვილიც გვესპობა და თავჩაქინდრულნი და უნიათონი სიკვდილს მოველით.

მხოლოდ ყოველი ოჯახიდან ორი-სამი დედა-კრაზანა არა ჰკარგავს სიცოცხლის სურვილს. მხოლოდ ისინი არ ივიწყებენ სიცოცხლის ნეტარების სიტკბოებას და ყოველ ძალღონეს ხმარობენ სიკვდილისაგან თავის დასაღწევად. ამიტომ ისინი დაეძებენ ამ დროს მყუდროსა და თბილს ადგილს ან ხმელს ხავსში, ან სადმე ქვიშანარევ მიწის ნაპრალში და იძინებენ იქ თბილსა და ტკბილ გაზაფხულამდე. რასაკვირველია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ყინვა-სიცივემ, თოვლმა და ნიაღვარმა, ან მოხეტიალე საქონელმა ადრე არ მოუსპო მათ სიცოცხლე.

ესეც უნდა იცოდეთ, რომ ეს დედა-კრაზანები, ან დედოფლები უკვე განაყოფიერებული არიან, რომ მომავალი გაზაფხულიდან შვილები გაზარდონ და უზრუნველჰყონ თვისი შთამომავლობა.

ხუთი თვე ძილი და უქმელ-უსმელობა!..

ღვინობისთვიდან თებერვლამდე მიმკვდარებული სიცოცხლე!.. გაქრა ზამთარი. დადნა თოვლი. ჩაიქროლა და მიიმალა ცივი ქარ-ბუქი. ამობრწყინდა ცხრათვალა მზე და მიჰფანტ-მოჰფანტა ნისლ-ბურუსი და აქა-იქ მოხეტიალე ღრუბლები. გამთბარ-გაბრწყინვებული ცის ლაჟვარდი საიმედო გუშაგად თავს დაადგა ნეტარებით სავსე დედა-მიწას. გაქრა ძილი და გამეფდა მოძრაობა, შრომა და სიცოცხლე. ყოველი სულიერი გამომზეურდა, გამოცოცხლდა. ჩვენი დედოფალიც გამოფხიზლდა. აუჩქარებლივ მიესალმა ცხოველმყოფელი მზის სხივს, აცოცდა ახლადშობილ ბალახის ფოთოლზე, გაშალა დედოფლურად თვისი ოთხი ფრთა და საუზმის მისართმევად გაემართა. ხუმრობა ნუ კი გგონიათ ხუთი თვის შიმშილ-წყურვილი! ვის არ მოშივდება, გინდ დედოფალიც ბრძანდებოდეს? შენ ის მითხარი, თუ რა არის ამ დროს საგემებელი? ჯერ ხომ არც ხილია და არც ჭიაღუები. მაგრამ ჰო, მარგული! აი, ის პატარა ბალახი, რომელიც ძალიან ადრე შეიმოსება ხოლმე თავის ლილისფერ მოწითალო ყვავილებით. ეს ხომ პირველი და საიმედო მოკავშირეა ჩვენი ოჯახობისა. არა და, მე თქვენ გეტყვით, გვიმტყუნებს როდისმე. ბუნებას სიმრუდე როდი უყვარს. ყოველი მისი მოვლენა ნაღდია და უტყუარი. ამიტომაც მარგულსაც დამზადებული აქვს დედოფლისა და მის პირველ თაობისათვის ტკბილი წვენი თავის ყვავილებში. მარტო და მხოლოდ კრაზანათ მოყვარეობისთვის კი არა,— თავის განაყოფიერების ხელის შეწყობისათვის უმთავრესად. და თუ ეს გარემოება ორსავე მხარისათვის ხელსაყრელი და სასარგებლოა, მაშ უტყუარ კავშირსაც რამ უნდა დაუშალოს?

ზოგი მეხსიერების წყალობით უმეტესად კი შთამომავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობითის ალლოს მეოხებით დედოფალიც მიიმარდება პირ-დაპირ მარგულისაკენ და კარგს საუზმესაც მიირთმევს. გადადის ერთი ყვავილიდან მეორეზე, თან ნაყრდება და თანაც ამ მეგობარ მცენარესაც ხელს უწყობს განაყოფიერების საქმეში.

ახლა დიდი სამზადისი სჭირდება ამ დიდს ქალბატონს. ჯერ ერთი მყუდრო ადგილი უნდა მოსძებნოს ბუდის გასაკეთებლად. სადმე ან შენობის ჭერქვეშ გარე, ან ხის ფუღურეოში, ან სადმე ხეზე. მეორეთ—ბუდე უნდა გააშენოს. ამისათვისკი საჭიროა ხის გულის ფხვნილის დამზადება და ქალალ-

დის სკის გაკეთება. არც ამის გაკეთება უძნელდება ჩვენს ქალბატონს. ახლა კიდევ კვერცხის დადების დროც უახლოვდება. დედოფალი პირველად სდებს სამ-ოთხ კვერცხს და თავს ევლება, რომ პირველი შვილები და თან შემწე-ამხანაგები გამოჩეკოს მომავალ ოჯახის მომრთველ-გამჩაღებელნი. აგერ გამოიჩეკა კიდეც პატარა ჭია. ერთს მეორეცა და მესამეც მოსდევს. ჭიები თავს მაღლა სწევენ. შიმშილსა სჩივიან. მოსიყვარულე დედაც იქაა, უზიდავს საჭმელს და ზრდის თავის ახალთაობას. თუ მარგულში საკმაო თაფლს ვერა ჰპოულობს, ქურდობასაც არ ერიდება. ფუტკრის სკაც ხომ აქვეა. მიეპარება და მოსტაცებს ცოტაოდენ თაფლს. ჭიებიც გარდაქმნის (მეტამორფოზის) გზას დაადგენ, როგორც საზოგადოდ სჩვევიათ ყველა მწერებს. მათ უკვე გაიკეთეს თვისი საქმლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან დამზადებული მასალით აბრეშუმის აბლაბუდა და დაპარკდენ. ჩვენი დედა-კრაზანა მეტად გახარებულია. სიხარული და იმედები შრომის უნარს უორკეცებს და შრომობს და შრომობს დაუზარებლად: აშენებს ახალ უჯრებს, აშენებს მომავალ ოჯახს. ამასობაში პარკებიც გაიხსნება და დასრულებული კრაზანები გვერდით ამოუდგებიან თვის დედასა და დედოფალს, დაბადების დღიდანვე დაუზარებლად შრომობენ, იღწვიან, საბუდარს აშენებენ. ახლა დედოფალს ერთი საქმე აქვს: მრავალი კვერცხი დასდოს და ოჯახი გაამრავლ-მოაშენოს. თუ არ იცით, გაგეგონებათ მაინც, რომ ჩვენს გვარში, ფუტკრებსა და კრაზანებისაში, სამგვარი ერთეულები არიან: დედოფალი, მამალი და მუშა. მთელ სკას მუშა კრაზანა შეადგენს. დედოფალი ერთია და მამალი კი რამოდენიმე. მუშა კრაზანა არც დედალია და არც მამალი. თავისი მოყვანილობით კი დედალსა ჰგავს და ამიტომაც დაუმთავრებელს დედალს ეძახიან. მამალი კრაზანა ყველაზე უფრო ხანმოკლეა. ცოტანიც არიან. დედოფალი სჩეკავს მხოლოდ ზაფხულის ბოლო ხანში, როცა აცივდება. ერთად ერთი გასამართლებელი საბუთი მათი ამ ხანში გაჩენისა, ასე დღემოკლედ, დედოფლის განაყოფიერებაა კრაზანათა გვარის აღსადგენად მომავალი გაზაფხულიდან. ხედავთ, რა დღემოკლენი ვართ?! სულ 7—8 თვეს ვცხოვრობთ, ამოდენა შრომასა და გაჭირვებაში ვატარებთ ჩვენს დღეს და თქვენ კი გსურთ, რომ ჩვენ მოსიყვარულე გულით აღსავსენი ვიყოთ და ტრედივით უწყინარნი.

დიაღ, იმას მოგახსენებდით, რომ მამლების გამოსაჩეკად დედოფალი სდებს ხოლმე კვერცხს ზაფხულის მიწურულში, როცა აღარც სითბოა საკმაო და აღარც საკვები. არც არავინ თავს იტეხს ამ არამზადა ვაჟბატონებისათვის. არაფრისაგან არაფრის მაქნისი არ არიან. ესაა მხოლოდ, დედოფალი უნდა გაანაყოფიერონ. ამასობაში ღვინობისთვის ცივი ქარიც ჩამოიქროლებს და უპირველეს ყოვლისა ჩვენ მოგვძებნის. ახლა კი მშვიდობით! ფეხები უნდა გავჭიმოთ და გამოვეთხოვოთ ამ წუთისოფელს.

ჰო, ის დამავიწყდა მეთქვა, რომ ზაფხულის მიწურულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შივე დედოფალი სდებს ორ-სამ სადედოფლო კვერცხს, საიდანაც დედოფლები უნდა გამოიჩეკონ მომავალის ცხოვრებისათვის. თუ ბუნების სიყვარული გაქვთ, დაკვირვების ნიჭი და მოთმინება, დაინახავთ, რომ დედალ კრაზანასათვის ცალკე და საგანგებო უჯრაა დამზადებული და გამოიჩეკება თუ არა, მის გაზრდა-გაფურჩქვნისათვის განსაკუთრებულად მუშაობენ მუშა-კრაზანები. საქმელ-სასმლითაც და მოვლა-პატრონობითაც სულ სხვა მდგომარეობაშია ხოლმე დედალი კრაზანა, ანუ დედოფალი. ასეთს პირობებს ჰქმნიან ხოლმე მუშა-კრაზანები, რომლებიც შეადგენენ დიდს უმრავლესობას კრაზანათა მოსახლეობისას და რომელნიც საუცხოო მაგალითს წარმოადგენენ შრომისმოყვარეობისა და ხელოვნებისას. მამალი არამზადა კი ყველაზე მეტად დღემოკლეა და არც ქალალდის კეთებაშია დახელოვნებული.

კრაზანათა გვარი მრავალია. ქალალდის კეთება ყველამ კი არ იცის, ზოგნი თიხიდან იკეთებენ ბუდეს, ზოგნიც მიწაში სცხოვრობენ. ზოგნი 4000 და 5000 არიან ერთს ოჯახში, ზოგნიც ბევრად ნაკლები და ზოგსაც განკერძოებული ცხოვრება უყვარს. „კაცია და გუნება“-ო, ნათქვამია. არც მჩხვლეტავი იარაღი აქვს ყველას. მარტო დედალსა და მუშა კრაზანას აქვთ კვერცხსადები, რომლისთვისაც არსებობისათვის ბრძოლას ისრის სახე მიუცია; ამითი ჩვენ ვჩხვლეტავთ ხოლმე მტერს და შევუშხაპუნებთ კანქვეშ ჭიანჭველის სიმჟავეს, რომელიც ასე მწვავეა. საკვერცხესთან კრაზანას აქვს ერთი ჯირკველი, სადაც ეს სიმჟავე მზადდება. მართალია, სასტიკია ამ ისრით ვისიმე დაჩხვლეტა, ისიც მართალია, რომ ჩვენ შეუბრალებელსა და სასტიკ მწერად გვთვლიან, მაგრამ რა გაეწყობა! ჩვენ ხომ სხვა იარაღი არა გვაქვს რა თავის დასაცველად, მტერი კი მრავალია, ვინ გინდა, რომ ჩვენ არ გვემტერებოდეს! პატარა ჩიტუნიებიდან დაწყებული, თვით ადამიანამდე.

მაშ რადღა გიკვირთ ჩვენი შეუბრალებლობა და სასტიკე?!

ივანე ელიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორი პირამიდა.

(აღმოსავლეთის ლეგენდა)

ერთი ძალოვანი ფარაონი ეგვიპტეში აშენებდა თავისთვის დიდ მატურს, პირამიდას, რომელსაც ის სამარადისოდ სახელოვანი უნდა გაეხადა. დილიდან საღამომდის, მრავალი წლების განმავლობაში ათასობით ადგენ კაცები ამ შენობას, მძიმე ქვების ზიდვით წელი ჰქონდათ მოწყვეტილი. ბოლოს ეს უდიდესი მუშაობა დამთავრდა. მუშების დათხოვნის წინეთ თვითონ ფარაონი მობრძანდა პირამიდასთან. მუშებს, ხუროთ მოძღვრებს მადლობა უთხრა და შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: „ახლა კი შემიძლია მოსვენებით მოვკვდე, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ მე ხალხი თავის დღეში არ დამივიწყებს. ყველა, ვინც შეხედავს ამ შვენიერ პირამიდას, მოიგონებს ჩემს უკვდავ სახელს.“

ეს სიტყვები გაიგონა ერთმა მუშა არაბმა, რომელიც ძალიან თავმოყვარე იყო. როდესაც ის დაბრუნდა თავის სამშობლოში, არაბეთის ერთ-ერთ უდაბნოში—დაიწყო ოცნება, თუ თავის ტომთა შორის როგორ გაითქვას სახელი—და ისეთი პირამიდა აიგოს, როგორც, მაგალითად, ფარაონმა. თანაც გრძნობდა, რომ ის ამას თავის დღეში ვერ მოახერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებდა, რადგანაც მის გასაკეთებლად საჭირო იყო ფარაონის ძალლონე. არაბი თავის უდაბნოში ნაღვლიანად დაეხეტებოდა. საბრალო ისეთმა სურვილმა გაიტაცა, რომ ბოლოს მოინდომა თავისი ძალით, თავისი საკუთარი ხელით აეგო პირამიდა.

ერთხელ, სალამო ჟამს, როდესაც არაბი ჩვეულებრივ პირამიდაზე ფიქრობდა, მას აზრად მოუვიდა, რომ იქნება უფრო ადვილი იყოს ღრმა ორმო გათხაროს ვინემ, ქვებისაგან ამართოს მაღალი სვეტი, მით უფრო რომ სანამ აშენებას შეუდგებოდეს, მან შორიდან, სხვა და სხვა კუთხიდან უნდა მოზიდოს ქვა. „განა სულ ერთი არ არის,—გაიფიქრა არაბმა,—საით ექნება პირამიდას თავი: ზემოდ თუ ქვემოდ?“

მალე, ამას შემდეგ არაბმა ამოარჩია თავის არაჩვეულებრივი პირამიდასათვის შუა უდაბნოში ადგილი, სადაც ქარავნები გაივლ-გამოივლიდენ და მუშაობას შეუდგა.

ვაჭრები და ქარავნის პატრონები ხედავდენ კაცს, რომელიც მარტოდ-მარტო ორმოსა სთხრიდა და ძალიან უკვირდათ.

მათ კითხვაზე თუ რათა სთხრის ორმოს, არაბი უპასუხებდა: „მე მინდა ავიშენო პირამიდა, როგორც ეგვიპტის ფარაონმა, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ჩემს პირამიდას თავი ზემოდ კი არ ექნება, არამედ ქვეკით. „ხალხი იცინოდა და საბრალო არაბს გიჟათა სთვლიდა.

ამასობაში არაბი სთხრიდა და სთხრიდა ორმოს. ორმო თანდათან განიერდებოდა და ღრმად მიდიოდა. რამდენიმე წლის ახირებული მუშაობის შემდეგ იქამდი ამოთხარა ორმო, რომ გამოჩნდა წყალი—სუფთა და შვენიერი გემოსი. რამდენსამე ხანს კიდევ იმუშავა არაბმა, ბოლოს მუშაობა უნდა შეეყენებინა, რადგან წყალი იმოდენა გამოჩნდა, რომ მოთხრა აღარ შეიძლებოდა. განაწყენებული არაბი თავის ბინაზე დაბრუნდა და მალეც მოკვდა.

მაგრამ მისი ხსენება მის ქვეყანაში არ გამქრალა. საწყალმა არაბმა, ფარაონის მეტოქემ, არ იცოდა, რომ თვითონ აიშენა პირამიდა და თავის ტომთა შორის სამუდამოდ სახელი გაითქვა. დიდ საოცარ ორმოში, რომელსაც გაჭირვებით და ახირებით სთხრიდა არაბი, გამოჩნდა დიდი წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამვლელი ქარავნები დრო და დრო ორმოს ძირს უსუფთავებდენ და ბოლოს და ბოლოს თანდათანობით ეს ადგილი გადაიქცა შვენიერ კორდათ.

რომელი პირამიდა უფრო სასარგებლო იყო ხალხისათვის: ის, რომელიც სხვისი ხელით ძალოვანმა ფარაონმა აიშენა, თუ რომელიც საწყალმა არაბმა თავისი შრომით გააკეთა?

ა. წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამის ანდერძი.*)

იგავი.

ზიურ ერთ ქვეყანას ჰყავდა მმართველი, სახელად ოსმან-აღა. ოსმან-აღა იყო კაცი ფრიად ავი, მკაცრი, სასტიკი, ულმობელი, შეუბრალებელი. აუარებელი და მძიმე გადასახადები დააწესა თავის სამფლობელოში; თვალი სულ ქვეშევრდომის გაყვლეფასა და განადგურებაზე ეჭირა. სულ მცირე დანაშაულობისთვის ყველას თავსა ჰკვეთდა და საპატიმროები ხომ მთელს სახელმწიფოში გავსებული ჰქონდა.

მოგეხსენებათ, ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ. ოსმან-აღასაც მოუახლოვდა აღსასრულის წამი. ეს რომ იგრძნო, მოიხმო თავისი უფროსი შვილი, ტახტის მემკვიდრე, და შეეკითხა: „ვხედავ, ბოლო მელება, სააქაოს აღარ ვეკუთნი. ვიცი სიცოცხლეში ყველასა ვძულდი, ვეზიზღებოდი; ყველა მკიცხავდა, მაგინებდა. ახლა მსურს სიკვდილს შემდეგ მაინც კეთილად მომიხსენიონ, რომ საფლავში მოსვენებული ვიყო. შენთვის მომინდვია ამაზე ზრუნვა და ჩემი უკანასკნელი სურვილის ასრულებაო.“

*) ხალხში გაგონილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვდა ოსმან-აღა. შვილმა დაიკავა მისი ადგილი და უპირველეს მიზნად დაისახა მამის ანდერძის შესრულება: გაორკეცა გადასახადები, აამუშავა მათრახები, ერთი-ათად გაამრავლა საპატიმროები, შემოიღო სახრჩობელები და ამგვარად მუსრს ავლებდა ქვეშევრდომთ, რომელნიც-კი მცირეოდენ ურჩობას გაუწევდენ.

შეწუხდა ხალხი, გაისმა საერთო გოდება, აყაყანდა მთელი ქვეყანა და, რასაკვირველია, ყველა ერთსა და იმასვე გაიძახოდა: „ოჰ, რა ბედნიერი ვყოფილვართ ოსმან-აღას ხელში! რა ძვირფასი და სათნო კაცი ყოფილა! ჩვენ-კი, უბედურნი, ბრმები ვყოფილვართ, მისი სიკეთე ვერ დაგვინახავს და ვერ დაგვიფასებია.“

ალ. მირიანაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1922 წლის მიმოხილვა.



ად არ გინდა გამიზიარო შენი აზრი წასული წლის შესახებ? შემეკითხა ახალწლის წინ ლამეს ჩემი უმცროსი ძმა.

— დიდი სიამოვნებით, თუ კი ეს შენ გაინტერესებს და გულდასმით მომისმენ, მე მზადა ვარ თვალწინ გადაგიშალო წარსულ წლის საქმიანობის შესახებ ჩემი მოგონებანი.

ის სმენად გადაქცეული აღტაცებით შემომცქეროდა თვალებში, — თითქოს მეუბნებოდა: დაიწყე, მეც მზადა ვარ მოგისმინო...

მეც ლამპას ცოტათი ჩაუწიე, საწერ მაგიდას მოუჯექ და დავიწყე:

„1921 წელმა დაგვიტოვა სიმშილი და გადანადგურებული მეურნეობა. დაგვიტოვა დანგრეული — ქარხნები, გაპარტახებული მუშათა ბინები და ეკონომიურად დასუსტებული ზურგი.

1922 წელში ხალხი გამოფხიზლდა, შეუდგა გაპარტახებულ და 1921 წლის დანგრეულ მეურნეობის ყოველ დარგში მდგომარეობის გაუმჯობესებას და ცოტათი მაინც მიაღწია დასახულ მიზანს.

სმენათ გადაქცეული პატარა ალიკო მთხოვდა დამეხასიათებია ის პირნი და ამეწერა ის ფაბრიკა-ქარხნები ან კულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურული დაწესებულებანი, რომლებიც 1922 წელში საგულისხმონი იყვენ.

მეც ამ წესით ბაასს დავეთანხმე, მხოლოდ იმ პირობით, თუ ის ცალკე მოისმენდა ყოველ ჩემ ნაამბობს და შეკითხვებს დასასრულისათვის გადადებდა. ისიც სიამოვნებით დამთანხმდა.

1922 წელს სამი უმთავრესი გამოცანა ქონდა შესასრულებელი: 1) სიმშილობის მოსპობა (ლიკვიდაცია), 2) ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღება*) და მისი ცხოვრებაში გატარება და 3) ეკონომიურად ჩვენი ქვეყნისგაძლიერება.

საერთოდ საქართველო ხშირად და ძალიან ხშირად განიცდიდა სიმშილს. ჩვენში მოსავლიანი მხარეები სიმინდით სამეგრელო და სამტრედიის რაიონია, ხოლო პურითა და ხორბლეულობით—ქართლი, გორის მაზრა.

იანვრიდან შემოდგომამდე ჩვენში სიმშილობა გამეფდა. გლეხი და მუშა სახელმწიფო დახმარებას ითხოვდა. ამის მიზეზი, რასაკვირველია 1921 წლის მოუსავლიანობა და მრავალი მიზეზები იყო.

სოფელი რჩებოდა უფქვილოდ—ქალაქი უპუროდ—სოფლის მეურნეს დასათესი ხორბალიც არ მოეპოვებოდა. მთავრობამ იკისრა ხალხის დახმარება და ყოველი ღონის-ძიება მიიღო, რომ სიმშილი ცოტათი მაინც შეენელებია. დახმარება ეჭირვებოდა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს.

დაარსდა სიმშილობის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი—რომელმაც რუსეთიდან მიღებული ხორბალი ჯერ-კიდევ გაზაფხულზე დაარიგა გლეხთა კომიტეტებს შორის გასანაწილებლად...

აქვე დარიგდა რამდენიმე ვაგონი ფქვილი და სიმინდი.

ასე იყო თუ ისე, ამ ხანამ უმტკივნეულოდ განვლო და ყოველი ჩვენგანი გადარჩა იმ საშიშარ ვეშაპს—სიმშილს, რომელმაც რუსეთს მუსრი გაავლო.

*) ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეწოდება ისეთ ხანას სასახელმწიფოს აღშენებლობაში, როცა ყველაფერი სამეურნეო ანგარიშზეა გადასული და არავითარი საქონელი ან ნივთი არ მიიღება სახელმწიფო სავაჭროსა, ან ეკონომიურ დაწესებულებებიდან. ე. ი. როცა ყველაფერი შეგიძლია შეიძინო მხოლოდ ფულის მიცემით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გაჭირვებით მივაღწიეთ შემოდგომამდე. უკვე დარიგებულ ხორბალმა თავისი ქნა...

მოწეულ ყანასა და ხორბალს მარტო მეპატრონე ან დამთესი ვერ დაეპატრონა.

გლეხი—მეურნე განსაკუთრებულ დებულებებით ვალდებული გახდა ნაწილი თვისი მოსავლისა შემოეწირა მთავრობისთვის სასურსათო კომისარიატის საშუალებით.

აგისრულდა ყოველი სიამე ისე, როგორც ეს ასრულდა...

გაიკრა ქუჩებზე და სოფლის აღმასკომების კედლებზე ცალკე ბრძანება-დადგენილებები—სხვა და სხვა დამატებით რომლის ძალით განსაზღვრული ნორმა ხორბლის ან სიმინდისა მეპატრონესაგან უნდა აეღოთ ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს და ჩაებარებიათ სასურსათო კომისარიატისთვის.

ხორბალ-სიმინდის ასეთ ნება-ყოფით ხარკს ეწოდება **სასურსათო გადასახადი.**

ამ გადასახადის აკრეფა სასურველად ჩატარდა და მთავრობას ადგილობრივ შეგროვილი სიმინდი—პური—(ხორბალი) სასურსათო კომისარიატის საშუალებით ჩაბარდა არა ნაკლებ 100% (ასი პროცენტი) **პურის სახელმწიფო ფონდის შესაქმნელად.**

მიწის საკითხი.

მიწის საკითხის და საზოგადოდ სასოფლო მეურნეობის განვითარების სათავეში დგას მიწათმოქმედების კომისარიატი. კომისარიატის უმთავრესი მიზანი იყო ზედმიწევნით განევითარებია მთელი წლის განმავლობაში სასოფლო მეურნეობის ყოველი დარგი—დახმარებოდა გლეხს თავის მეურნეობის გასაუმჯობესებლად და განემტკიცებია მიწის მოხმარება—გაყოფა—დანაწილება სოციალისტური სისტემით და უმთავრესად-კი მიწის კანონი უმტკივნეულოდ გაეტარებია მთელ საქართველოში საბჭოთა კონსტიტუციის ძირითად მუხლების მიხედვით.

სპეციალურ კომისიის მეოხებით ეს მუშაობა მთელ საქართველოში უკვე დამთავრებულია. წინეთ არსებულ მიწის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტების ნაცვლად ამ ჟამად დაარსებულია მიწის შესახებ დავის გასარჩევად სპეციალური ინსტიტუტი.

მიწათმოქმედების კომისარიატი დიდ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე კოლლექტიურ მეურნეობის დარგის განვითარებისათვის. იგი იკვლევდა და ამტკიცებდა შემდგარ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს, იმუშავებდა წესდებებს და აარსებდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და კომუნებს. ამ სახად დაარსებული იყო 73-დე კომუნა 2338 წევრით.

თითქმის სრულიად გაჩერებულია საახალშენო საქმე, რადგანაც ახალშენები ეწყობა მხოლოდ სამხრეთ და აღმოსავლეთ პერიფერიებში (ნაწილებში—პროვინციებში), სადაც ხალხს ეშინია გადასახლება. სხვა საახალშენო ადგილები რესპუბლიკას არა აქვს. თუმც უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელად ახალშენების და საერთოდ გადასახლების საკითხი უვარგის ადგილებიდან უფრო ნოყიერ და ვაკე ადგილებზე გადაწყდა წლის ბოლოს და მალე ცხოვრებაშიაც გატარდება, რაც ჩვენს სასოფლო მეურნეობას კიდევ უფრო გააძლიერებს.

ამავე წლის განმავლობაში არ დაუტოვებია უყურადღებოთ კომისარიატს არც სატყეო საქმე. ჩვენ ვიცით, რომ ზოგან ტყეები საშინელ მდგომარეობაში იყვნენ. უპასუხისმგებლო ელემენტების მიერ ტყე ფუჭდებოდა და უდიერი მოპყრობით ნადგურდებოდა. საჭირო იყო მისი გადარჩენა. ამ მიზნით სატყეო განყოფილებამ შეიმუშავა ახალი დებულება, რომლის თანახმადაც ძირიან-ფესვიანად შეიცვალა ტყეების—მართვა-გამგეობის სისტემა და ამ გვარათ ტყეები გადარჩა იმ ყაჩაღურ მოპყრობას, რომელსაც წინეთ ადგილი ჰქონდა.

ტყის საცდელ-საკულტურო საქმე ჯერ კიდევ დაწყებითი ფაზა სშია. ას სფეროში დიდ იმედებს იჭლევა თბილისის აღმასკომი, რომელიც მთაწმინდის ხრიოკ კალთებზე ტყის გაშენებას ფიქრობს.

შენ, თუ არ გეძინება, უთუოდ გაინტერესებს ისიც, ჩემო ძამიკო, თუ რა მდგომარეობაში იყო გასულ წელს ჩვენი ქვეყნის მოშენებულ—კულტურულად მოწყობილი ბაღები და სახელმწიფო მამულები?

როგორ არა,—წამოიძახა ბავშმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ისინი უფრო იმიტომ მიყვარს, რომ იქიდან ვიღებთ ჩვენი ქვეყნის საამაყო ღვინოს „ნაფარეულს“ და ისეთ კარგ და ჭორფა ნარინჯებს, როგორიც მე და შენ გუშინ ვიყიდეთ.—დასძინა პატარამ...

უნდა გითხრა, რომ წარსული წლის განმავლობაში, როცა საბჭოთა აღმშენებლობის დიდი გამოფენა იყო, საცა მე და შენ ვიყავით, ორივე ძალიან განგვაცვიფრა ხელოვნურად მორთულმა ბაღმა, რომელიც 55 წლის ჩინელის მიერ იყო მოწყობილი რუსთველის თეატრის აივანზე.

რა გინდოდა, რომ იქ არ იყო: ნარინჯები, ფორთოხლები, ლიმონი, ლერწმის ხეები, სხვა და სხვა ხილეულობა, სხვა და სხვა წვეთეულობა, ღვინო, ნაქსოვი ნოხები და სხვა მრავალი, რომელსაც ამ ჟამად აკეთებს მიწათმოქმედების კომისარიატი და რომლის მიზანია, მის მიერ გაშენებული სახელმწიფო ბაღების ყოველგვარი ხილეულობა ბაზარზედაც გაიტანოს და სხვა ჩვენ გვარ პატარა სახელმწიფოთა შორისაც პირველობა დაიჩემოს. ერთი სიტყვით, შენ უთუოდ გეხსომება, როგორც ეს გამოფენამ დაგვანახვა, თუ კულტურულ მცენარეების მოშენება საქართველოში რა მკვიდრ ნიადაგზე ყოფილა დაყენებული და მომავალშიაც უეჭველად უკეთესად მოეწყობა და პირველობასაც დაიჩემებს.

მრეწველობა.

ბბა მითხარი შენ რა გააკეთა იმ ვეებერთელა დაწესებულებამ რომელსაც სოვნარხოზი ჰქვია?—ეშმაკურად შემეკითხა ჩემი ძმა ალიკო.

— ჰა, შენ თუ რომ ჩვენი მრეწველობაც გაინტერესებს?

— რატომაც არა. შენ გგონია, მე არ ვიცი რა არის ტრესტი ან სინდიკატი? რატომაც არა. ჩვენი მასწავლებელი ხშირად იმეორებს: თამბაქოს ტრესტი, ღვინის ტრესტი და სხვა. მეც დამაინტერესა ამ ახალმა სიტყვებმა.

— ტრესტი ეწოდება წარმოების ისეთ გაერთიანებას, როცა რამოდენიმე ქარხნის გამგეობა ან მეპატრონეები თავიანთ შორის ირჩევენ მთავარმართველ გამგეობას, თვითონ ჰკარგავენ თავიანთ დამოუკიდებელ არსებობას და სავაჭრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო საქმეში საერთო წინამძღოლად მიაჩნიათ ტრესტის გამგეობა და წლის ბოლოს საერთო მოგებას თანასწორად იყოფენ.

— მაშ ახლა მიამბე, რა მდგომარეობაში იყო ჩვენი მრეწველობა წარსულ წელს?

— ჩვენს მრეწველობას სათავეში ედგა ე. წ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ან შემოკლებით რომ ვსთქვათ ს. მ. უ. ს., რომელიც ხელმძღვანელობდა მთელ ჩვენს მრეწველობას. პირველ აპრილამდე ე. ი. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებამდე ყველა ჩვენ სამრეწველოს თაოსნობდა ცალ-ცალკე განყოფილებები. შემდეგ კი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებისას მთელი ჩვენი სამრეწველო აპარატი შეიცვალა. მათ მიიღეს უფრო ახალი სახე,—ტრესტების სახე—იმ ტრესტისა, რომელიც შენ ასე გიყვარს,—დავსძინე მე.—დაარსდა თამბაქოს, ძირულა-შროშის, ღვინის, სატყეო, საამშენებლო ტრესტი და კიდევ სხვა. აქვე პარალელურად მუშაობდენ მრეწველობის სხვა და სხვა გვარის განყოფილებები:—ლითონისა, ტყავის, შავი-ქვის, სავაჭრო და კიდევ სხვა.

საერთოდ ეკონომიურად წრეულს ფაბრიკა-ქარხნებმა და ჩვენმა მრეწველობამ მაინც და მაინც ვერ გამოიჩინა უნარი, რადგან მრავალი ხელის შემშლელი პირობები გადაეღობა მათ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ჩვენი ახალი მრეწველები იმდენად მოუმზადებელი შეხვდენ, რომ იძულებული გახდენ შესწორებებით ეწარმოებიათ თავიანთი წლიური პროგრამული მუშაობა.

ამ დარგში აღსანიშნავია მხოლოდ ლითონის ბანყოფილების მიერ ჩათახის—(ბორჩალოს მაზრაშია) თუჯის ჩამოსხმელ ქარხნის აღდგენა. იცი, როგორი ძველი ქარხანაა ეს? ძვირად მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ავი და კარგი იცის, რომ არ გაეგონოს ჩათახის თუჯის ჩამოსხმელი ქარხანა.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეზე დღესაც ნაკლები წარმოდგენა გვაქვს, მის დამუშავებას და მოხმარებას დღესაც ვერ ვაქცევთ ჯეროვან ყურადღებას, მაგრამ ამ ჩვენი ქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის სიმდიდრე მუდამ მიმზიდველი და მომხიბლავი იყო უცხოელ კაპიტალისათვის, ევროპიელ მწარმოებლისათვის. საქართველოში სტუმრად მოსული ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები ფულსა და შრომას არა ჰზოგავდენ, რომ აღმოეჩინათ ჩვენში სპილენძი, ქვანახშირი, რკინა და წარმოება გაეჩაღებიათ.

ჩატახის თუჯის ჩამომსხმელ ქარხნის აშენება ერთი იმ მაგალითის მაჩვენებელია, რომ საქართველოს სამთო-მადნო მეურნეობას დიდი მომავალი აქვს და მის დასამუშავებლად უცხო ქვეყნებიდანაც კი მოდიოდენ წარსულში დაინტერესებულნი პირნი და საქმის მცოდნე ხალხი.

ჩატახის რკინის მადნები ბორჩალოს მაზრაშია, თბილისიდან 75 ვერსის მანძილზე.

თუჯის დამუშავება საქართველოში მოსულ გერმანელებმა იკისრეს. მათ 1860 წელს ააშენეს ქარხანა ორი თუჯის სადნობი ღუმელით და მუშების საცხოვრებელი ბინები.

მაგრამ ჩატახის ქარხანამ სულ ათი, თუ 15 წლიწადი იარსება და შემდეგ კი დაიხურა. უპატრონოდ დატოვებული ის გაოხრდა და გატიალდა; შენობები დაინგრა, თუჯის სადნობი ღუმელი დაიშალა, ქარხნის სიმდიდრე და მანქანების ნაწილები დაიტაცეს... ჩატახის ქარხანა ყველამ მიივიწყა და მის აღდგენაზე მხოლოდ ამ უკანასკნელ 3—4 წელში იფიქრეს.

ეს ქარხანა 50 წლის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიგდებული, დარჩენილი მანქანების ნაწილი და სახელოსნო იარაღები თითქმის მიწაში იყო ჩაფლულ ჩაჟანგული, რომლის მუშაობაში და ამოღება-გაწმენდაში იმ 19 მუშამ მიიღო მონაწილეობა, რომლებიც გაგზავნილი იყვენ ლითონის განყოფილების მიერ. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ლითონის განყოფილების თავმჯდომარემ ბ. კალანდაძემ ამ ქარხნის მოსაგვარებლად და ასაშენებლად დიდი მუშაობა გასწია. ეს ერთად-ერთი ქარხანაა საქართველოში და მთელ კავკასიაში, რომელიც ადნობს ლითონს, ასხამს თუჯს და საზოგადოდ აწარმოებს ლითონის და თუჯეულობის ყოველგვარ მუშაობას.

მეორე—უფრო დიდი ეროვნული სიმდიდრე—ჭიათურის შავი-ქვის სამრეწველო წყალდიდობამ გაანადგურა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ თავის დროზე მიეშველენ, როგორც სახელმწიფო, ისე თვით კერძო აქციონერები—მეპატრონეები და ჩვენი მრეწველობის ეს ფრიად მნიშვნელოვანი დარგი საბოლოო განადგურებას გადაარჩინეს.

აღსანიშნავია აგრეთვე ამ წელს ბევრი ფაბრიკა-ქარხნის შეკეთება და აშენება, რომელთა შორის ლვინის ტრესტის მიერ სახელმწიფო მეექვსე ქარხანაში კრახმალის ქარხნის აშენება, რომელიც კავკასიაში და კერძოდ საქართველოში პირველ კრახმალის ქარხანად იქნება მიჩნეული.

ამ გვარად მრეწველობა და მით უფრო მძიმე ინდუსტრია ან მრეწველობა ჯერჯერობით კიდევ ორგანიზაციის ხანაშია და ვნახოთ მომავალ 1923 წ. რას მივიღებთ.

სახალხო განათლება.

ეს დარგი შენთვის უფრო ნაცნობია. ჩემო კარგო! უნდა ვთქვათ რომ სახალხო განათლების საქმე ჩვენში არას დროს თავის სიმაღლეზე არ მდგარა საერთოდ და კერძოდ-კი ამ დარგის უმთავრეს ნერვს—ხელოვნებას ძალიან ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. დღეს-დღეობით ჩვენ აღმშენებლობით ხანაში ვართ, დღეს ყოველი ახალი იქმნება, ყოველ საგანსა თავის ახალი, განსაკუთრებული სახელი აქვს და ამიტომაც სასკოლო დარგიც ამ ახალ სიტყვარს ძალიან დიდი სიამოვნებით ხმარობს. შენ იცი, რომ დღეს ძველი ჩვენი სასწავლებლების სახელი შეიცვალა ტეხნიკუმის, შრომის, პროფესიონალური, თვალ-საჩინო, საცდელ-საჩვენებელ სკოლების სახელის წოდებით. ახალია ჩვენთვის ფაბრიკა-საქარხნო სკოლები და მუშათა ფაკულტეტები, საცა უმთავრესად მუშათა და მშრომელ გლეხობის შვილნი იზრდებიან.

იზრდებიან და ვითარდებიან ახალგაზრდები ფიზიკურად „სპარტაკში". რომელიც გაუქმებულ ტანთ სავარჯიშო ორგანიზაცია „შევარდენის" მაგიერ დაარსდა. საერთოდ მთელ ჩვენ განათლების საქმეს განათლების კომისარიატის საშუალებით ბევრი ახალი შეეძინა და მრავალ დარგსაც საღათას ძილი ჭაბუკურ სიმარდედ გადაექცა.

ხელოვნებამ პირი იბრუნა; მოეწყო ხელოვნების მოღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეთა იუბილეები; გამოცოცხლდა თეატრები ახალ სპეციალურ მცოდნე პირების მოწვევით; გარდაიქმნა ქართული სცენა, მან დაამთავრა ორგანიზაციის და შემთხვევით არსებობის ხანა...

ქართულ თეატრმა დაგვანახა, რომ შეიძლება ჩვენი თეატრის აყვავება-არსებობა და მისი წინსვლა ხელოვნების უკანასკნელი სიტყვის მნიშვნელობით.

შეინძრა ჩვენი მუსიკოსები—გამოცოცხლდა ჩვენი ქართული ხოროები, გაჩაღდა კამათი ქართულ ლიტერატურაში ლიტერატურულ ჟურნალების დაარსების შესახებ.

დაარსა ქართველ მწერალთა გაზეთი ,,ლომისი'', გაივსო ბაზარი ქართველ მწერალ-პოეტების გამოცემებით; სახ. განკომის სამხატვრო სექციამ გამოსცა მრავალი საბავშო მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოები, ჟურნალები და წიგნები: „ჯეჯილი", „ნაკადული", „ტყის სურათები„, „ბავშებს", „ჭიანჭველების საოცარი თავგადასავალი„, „საბავშო პიესათა კრებული", „დედაბერი, ტურა და მელა" და სხვა.

გაისმა ჩვენ თეატრებში ბავშების ტაშისცემა—მოეწყო მათთვის წარმოდგენები, ოპერები, რამაც ბავშები ცირკებსა და ქუჩა-ქუჩა ხეტიალს ააშორა.

დაარსდა ბავშთა—თავშესაფარები, საბავშო სახლები, ბაღები და სხვა მრავალი დაწესებულება, რომლითაც ბავშები ამ ჟამად ფართოდ სარგებლობენ და ცოდნა-განვითარებას იძენენ

თუ რამდენად გაიზარდა სასწავლებელთა რიცხვი ამას გვიჩვენებს სახ. განკომის. მიერ შემუშავებული 1921—1922 წლ. ცხრილი, რომელიც სახავს, რომ მთელ რესპუბლიკაში ყოფილა: შრომის სკოლები—1556, ტეხნიკუმები—70, პროფეს. სკოლები—18, საბავშო-სახლები და ბაღები—54, საპედაგოგიო კურსები—1, მუსიკალური სტუდიები—9, საფერშლო კურსები—2, მუსიკალური კურსები—1, სამუსიკო სასწავლ.—2, კონსერვატორია—2, უნივერსიტეტი—2. საერთოდ განათლების დარგმა მოგვცა დიდი ცვლილებები: შეიცვალა წიგნის გამომცემლობის, დამსახურებულ ქართველ მწერალ-მასწავლებლების და მოღვაწეების უზრუნველყოფის წესი. მათ, მთავრობიდან სულ 150 პირს, დაენიშნათ მუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივი პენსია 2 მილ. მანეთიდან 3 მილ., მანეთამდის. შეიცვალა გაზეთის (პრესის) შინაარსიც. ის უმთავრესად ემსახურება მუშა-გლეხთა ყოფაცხოვრებას; ყოველდღიურად თვალს ადევნებს ფაბრიკა-ქარხნების მდგომარეობას. მუშების, ახალგაზრდა და მოზრდილ ხელოსნების უზრუნველყოფას სპეციალურ ტეხნიკურ-კორესპონდენტების საშუალებით და ყოველ საჭიროებას მუშებისას აწვდის მკითხველს გასაცნობად. გაზეთის ასეთ მიმართულებას (პრესაში) ეწოდება ფხიზლად მუშების სადარაჯოზე ყოფნა, რასაც ჩვენი გაზეთები დღემდე მოკლებულნი სრულიად არ არიან.

მუშათა საკითხი.

რადგანაც მუშათა გაზეთებზე შევჩერდით, აქ საჭიროა ორიოდე სიტყვა იმაზედაც გითხრა, თუ როგორ მდგომარეობაში იყო აქამდე მუშათა საკითხი საერთოდ და მუშათა ცხოვრების რომელი დარგია მიჩნეული პირველ-ხარისხოვნად.

პროფესიონალური კავშირები—ეს მუშების მდგომარეობის ეკონომიურად გამაუმჯობესებელი დაწესებულებანი ამ ჟამად საქართველოში სულ 21-ია 40-ათასამდე შეკავშირებულ წევრით—მუშა-მოსამსახურეებით. პროფესიონალურ კავშირების აღმასრულებელი დაწესებულება, შრომის კომისარიატი, წლის განმავლობაში აგვარებდა მუშათა ხელფასს და უმთავრესად მის მოღვაწეობაში აღსანიშნავია ის, რომ მან შემოიღო მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა.

მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა გამოიხატება მასში, რომ ის უზრუნველყოფილია სხვა და სხვა უბედურ შემთხვევის დროს. უმუშევრობის დროს მას ეძლევა დახმარება ფულით, ავადმყოფობის დროს მოვლით, წამლობით და სხვა.

— რა შემთხვევაში ეძლევა მუშას დამზღვევ კასიდან დახმარება?—შემეკითხა პატარა...

— მუშის ავადმყოფობის, დასახიჩრების, სიკვდილის, უმუშევრობის, დავრდომილობის, ორსულობის, მშობიაროობის და მუშა-მოსამსახურის უგზო-უკვლოდ დაკარგვის დროს. როგორც ხედავ, ეს რვა ფორმა დაზღვევისა უბედურ შემთხვევის დროს დიდად უმსუბუქებს მუშას მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე უნდა გითხრა, რომ ამ დამზღვევ კასას აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის ჭაობიან ადგილების ამოშრობაში.

ამ ჟამად თბილისში—საბურთალოზე და ფოთის რაიონში, ჭალადიდის ახლოს, დიდი მუშაობა წარმოებს ჭაობების ამოსაშრობად ქართველების მოუცილებელ ავადმყოფობის მალარიის (ციებ-ცხელების) აღმოსაფხვრელად, მის მოსასპობად.

ციების წინააღმდეგ საბრძოლველად ჯანმრთელობის კომისარიატს, თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს და სხვა დაწესებულებებს უკვე მიღებული აქვთ ენერგიული ზომები და იმედია ჭაობიან ადგილების ამოშრობა მალე დასრულდება და ციებასაც და მის გამავრცელებელ მწერს, კოლოს, სამუდამოდ გამოვეთხოვებით.

საქართველოს 1922 წლის მცხოვრებთა აღწერა.

ამავე მიზნით, მცხოვრებლების რიცხვთან ერთად რომ გამორკვეული ყოფილიყო სნეულთა და ჯანმრთელ მცხოვრებთა რიცხვი, საქართველოში არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს (ცესუ) მიერ 1922 წელს, დეკემბრის შუა რიცხვებში, მოხდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის აღწერა.

აღწერა ჩატარდა უმტკივნეულოდ 35 ქალაქში. ჯერ ჯერობით არ არის გამორკვეული მათ შორის სნეულნი, ჯანსაღნი და სქესობრივ-ეროვნული შემადგენლობა, მაგრამ ამის გაგებას მომავალშიაც მოვესწრებით.

ზემო-ავჭალის ელექტრონის სადგური.

ზემო ავჭალის წყალ-სადენი—ეს სახელი ალბად მრავალჯერ ამოგიკითხავს გაზეთებში, ჩემო ალიკო, ლაპარაკშიაც მოჰკრავდი ყურს, მაგრამ ალბად არ იცი, რაშია საქმე და რას ნიშნავს ყველაფერი ეს!.. ბოლოს გადასახადებიც შეაწერეს ხალხს და განსაკუთრებული დეკრეტიც გამოიცა მთავრობისა ამის შესახებ. ასასივით დაადგენ ხალხს თავზე—გინდა თუ არა დაივიწყე გოზინაყზე და ჩურჩხელებზე ფიქრი, ახალ წლის შეხვედრა იქით გადასდე, ჯერ 31 ქრისტეშობისთვემდე გადაიხადე აუცილებლათ ეს გადასახადი და შემდეგ იქეი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეო!.. ბოლოს და ბოლოს ხალხმა გაიგო, რომ ამ ფულის შეგროვებას რაღაც დიდი დანიშნულება აქვს. გამოირკვა, რომ მცხეთის ხიდს ცოტა ქვეკით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დიდ ტრიალ მინდორზე, დიღომის ველის მახლობლად უნდა გაიმართოს საელექტრონო სადგური — ავჭალის წყალსადენი, საიდანაც გადმოვა არხი და მოევლინება დიღმის მინდვრებს გულის დასალბობად, მოსარწყავად. ეს არის უმთავრესი და მასთან მთელი წლის განმავლობაში ის დაუზოგავი მუშაობა, რომელიც საქართველოში წარმოებდა სხვა და სხვა არხების გასაყვანად: ახალციხე-ახალქალაქში, დიღომის ახლო გორის მაზრაში, სამეგრელოში ცხენის-წყლის საშუალებით და სხვაგან ახლო მდებარე ხეხნავ-სათიბ ადგილების მოსარწყავად და გვალვის შედეგების ასაშორებლად, რასაც ხშირად დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი შიმშილის კარამდე მიჰყავს.

ამას 1923 წელში უსათუოდ ბოლო მოეღება და ჩვენც უფრო დამშვიდებით, გაბედულებელ იმედებით მომავალ ახალ წლის წინ ლაპეს ვიმასლაათებთ 1923 წლის ნაყოფიერ მუშაობის შესახებ.

— ყველაფერს შევსძლებთ, ყველაფერს! წინ ვერაფერი დაგვიდგება! — წამოიძახა ჩვენმა ძმამ და თავი საბანში შეჰყო.

სანტლეი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვრილმანი.

შარადები.

I

(წარმოდგენილი პ. ნიორაძისაგან)

რაც ლამე ფრინავს და ჰკივის,
მაზე უხმოთი მიაბი,
რაც ნაყიდში წინ მიეც და
ვაჭრის ხელში თავი აბი;
დაუმატე რაც სჭირდება
კარის საკეტათ სოფლელსა
და ერთად—დიდზე მოზრდილსა
უწოდებს ენა ზესკნელსა.

II

პირველი—მცირე რიცხვაა,
ბოლო მოვწყვიტოთ, აქვს მრუდი;
მეორის—გაგონებაზე
გლეხმა მოიხადა ქუდი.
(ჩვენ მის ბოლო ხმიან ასოს
გაუკეთოთ მოგძო კუდი)
და მესამე—მკის დროს ვნახე
ძნებისთვის არ იყო ცუდი;
ერთად—ხალხის სანოვაგე
მასშიდაა დანაბუდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ა ნ ა.

თავის სატეხი.

(წარ. გ. ნადირაშვილის მიერ)

ქვემოდ მოყვანილ კითხვებს უპასუხეთ და პირველი ასოები შეაერთეთ.

1) საქართველოს ერთ ერთი ნაწილი.
2) ადამიანს თუ არ ექნება ის, ვერ ილაპარაკებს. რა არი?
3) პატარა წყალი.
4) მოჭრილი დიდი ხე.
5) ანბანის პირველი ასო.
6) ხოლერის ასაცილებელი მცენარე.
7) რას წარმოადგენს ქართველობა.
8) ქართველების საყვარელი დასაკრავი.
9) კახეთის მდინარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

არითმეტიკული გამოცანა.

შეიძლება რომ ზოგჯერ 20 გამოვაკლოთ 22 და მივიღოთ 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსები.

(წარმოდგენილი მიხ. გერმანიშვილის მიერ).

I

ი 20, ლვინის დანალექი მეავე ,, ბ

, ი ს წვლიწადის მეთორმეტე ,, ი ს ნაწილი

II



და შუბი ბ

ე რი ა ლ ი ი

oooooooo

საქართველოს სახელმწიფო თბილისი